



იმისთანა წმინდა საცემში, ბეგობრივ ბეჭდვით სიფყვას, ფეხილებით და ჭბრებით ბრტთის გაფანა ყულა უკანდისბბაზე უსამაგლესია.

გაგორდის 1918 წლის 25 ივლისიდან

რესპუბლიკა

ორშაბათი, 15 აპრილი. 2024 წელი №45 (9725) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

მუხრან მაჭავარიანი

ქართული ქართველთ რწმენაა



ქართული მარტო ენაა?! — ქართული ქართველთ რწმენაა! ღმერთია! ბედისწერაა! ზღვა როა, — იმოდენაა!

* * *

ენა ისეთი, — ქართული როა! — მიწაში კია, მაგრამ მიწაზე?! ღირსი თვით შოთა ჰა და ჰა თუა განხსნად საბელთა ხამლთა მისთასა. ენა რომ არა, ისიც ასეთი, როგორც იტყვიან: ყალბით ნახატი!.. შენი თვით შოთა რასაც დაწერდა, — ერთი იმასაც ვნახავდი!

სა-14-აპრილო მწარე სათქმელი

6 — ავთანდილ არაბული —

„ღელა არ გვასროს უვილებსა...“


7 — ბალა ქოქიაშვილი —

ფასეულობა თუ ღირებულება?

„გამჭვირვალობა“!

გრანდიოზული

ფინანსური სკანდალის პირისპირ



თეიმურაზ ქორიკია: ჩემი აზრით, „გამჭვირვალობასთან“ დაკავშირებული ქართული ისტორიკა და არაბუნებრივი სავრთაშორისო „შეშფოთება“ იმის მანიშნებელია, რომ ქართული და სხვა ქვეყნების ენჯეობთან დაკავშირებით, შესაძლოა, საქმე გვქონდეს სავრთაშორისო ფინანსურ აშერასთან. ამ კანონის მიღებით საქართველოდან დაიწყება გრანდიოზული ფინანსური სკანდალი, რომელიც ელვის სისწრაფით გავრცელდება მსოფლიოს შერაველს ქვეყანაში და ღღემღე გამოქვეყნებულ მშვიდად მოკალათებულ უამრავ სახელოვან ქურღბასასას შეიწინააღმდეგებს.



პია ავაშიკა

ლევან ხაბეიშვილის სერიოზულობაზე სავრთოდ არ შეიძლება ლაპარაკი, „კომედი შოუს“ შიგურალ იქცა მისი ნაბისმირი განხსნალებით და სუპერ-პოპულისტური ქვეყნებებით!

ირაკლი ღარიბაშვილი:

ბრიგორიადისის შეწყალებით, საქართველოს პრეზიდენტმა „მოლოტოვის კოქტეილი“ ესროლა პოლიციელს!



საზოგადოება „ქართული“ იწყებს

დღეაენის დღეს თბილისის ისტორიულ მუზეუმ „ქარვასლაში“ საზოგადოება „ქართულის“ ნაღდგანა გაიმართა. საინიციატივო ჯგუფმა სტუმრებს საკუთარი მიზნები და სამომავლო გეგმები გააცნო. საინიციატივო ჯგუფს ანსამბლ „მასიანის“ სოლისტი შიმონი შიმონი ხელმძღვანელობს. კულტურის, განათლებისა და სპორტის ნარმომადგენლებისგან შექმნილი ჯგუფი საზოგადოებას არაპოლიტიკური, საზოგადოებრივი პლატფორმის ჩამოყალიბებას სთავაზობს. დამფუძნებლების განცხადებით, ინიციატივის მიზანია ქართული იდენტობის შენარჩუნება, ქართული ენის, კულტურის, ტრადიციებისა და ღირებულებების დაცვა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემოს ჩამოყალიბება. (ვრცლად მორიგ ნომერში).



„ბაგჰვირვალობა“!

ბრანდიოზული ფინანსური სკანდალის პირისპირ



მერ ვიტყვი, ყველაზე მნიშვნელოვანი-მეთქი, მაგრამ გასული კვირის ყველაზე სეპიანი აბაბი 1989 წლის 9 აპრილის გასვენება იყო. მით უფრო, ღვინო არ წყდება კაბათი საქართველოს ისტორიისთვის ამ ტრაგიკის მნიშვნელობაზე, აქტივის ორბანი-გატორთა და ხელისუფლების გაშინდელ წარმომადგენელთა ღამ-სახურებასა თუ ღანაშაულზე, აქტივის როლზე მთლიანად საბჭოთა სისტემის ნგრევაში...

ცოტა უსწრაფი, მაგრამ ტრაგედიიდან 36 წლის შემდეგაც ქართულმა ისტორიულმა მეცნიერებამ ამ მოვლენის რეალური, ობიექტური შეფასება ვერ მოახერხა. პასუხი არ გვაქვს ერთი შეხედვით მარტივ კითხვებზე – ვინ ინიციატივით აღმოჩნდა საქართველოში თავისი დაუნდობლობით ცნობილი სპეცდანიშნულების რაზმი? შეეძლო თუ არა ტრაგედიის თავიდან აცილება ხელისუფლებას? აშკარა და გარდაუვალი საფრთხის წინაშე რატომ არ

რუსული რევოლუციური პოეზია და თანამედროვე ქართული ოპოზიციური ფილოსოფია

წლის განმავლობაში იღვინდა და მი-ანი წლებში მიწურულს ეს პროექტი უკვე დამთავრებული იყო. ცოტა გულუბრყვილოდ და გადაჭარბებულად მეჩვენება აქციის ორგანიზატორთა დამსახურებაც ვერის, სამშობლოსა და მსოფლიო ცივილიზაციის წინაშე. ვიმეორებ, იქნებ ვცდები კიდევ, მაგრამ ასე ვფიქრობ მე, იმ პროექტების უშუალო მონაწილე და დამკვირვებელი. ოდესმე იქნებ ჭეშმარიტებამ გაიმარჯვოს, ან

პირველ გლობალურ ომში გადაიზრდება. ამის შესახებ მეტი ვერ ვიცი, ლაპარაკობს და ახალს ვერაფერს ვიტყვი – გადახედეთ ისტორიას: სამხედრო დანაკარგებით, ადამიანების ულტრატრუსების შემთხვევა ან დამუნათება აბსოლუტურად ფუჭი ილუზიაა. დიდი სისულელეა იმის იმედად ყოფნაც, რომ ხვალ-ზეგ რუსეთს საბრძოლო იარაღი შემოეღებოდა და მონინაღმდეგეს დანებდებოდა.



დაიხივს უკან აქციის ორგანიზატორებმა? რატომ არ დაუჭერეს აქციის მონაწილეებმა კათოლიკოს-პატრიარქის მოწოდებას? უშუალოდ ვისი ბრძანებით მოეწყო მომტიტინგოა წინასწარ განზრახული უსასტიკესი რბევა?... და კიდევ ერთი პასუხგაუცემელი კითხვა – ჭონია თუ სინამდვილე მთარაული ხეობი 8 აპრილს იმუაშიდელი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ელდარდ შვარცდანიის საქართველოში საიდუმლო ვიზიტი? – გავითი მცდლოების მიუხედავად, მისი აქ მანხველი ვერაფრად აღმოვაჩინე, თვითონ შვარცდანი 30 აპრილს კავშირითულად უარყოფდა.

კიდევ უფრო მძიმე ვითარებაა ახლო აღმოსავლეთში. ისრაელისადმი ჩემი გულწრფელი პატივისცემის მიუხედავად, თუ იგი მართლაც მანდიტურ ჰამასთან უახლოეს მომავალში საზავო ხელშეკრულებაზე არ იფიქრებს, ომში ზოგიერთი არაბული სახელმწიფოს ჩართვა გარდაუვალია. მრავლისმეტყველი ფაქტია, რომ გასულ კვირას იემენური საზღვაო ტერორისტული ორგანიზაცია „ხუსიტები“ თავს დაესხნენ აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის გემებს. განსაკუთრებით ავის მომასწავებელია შიტიური ირანის, რუსეთის სტრატეგიული პარტნიორის, პოზიცია – გასულ კვირაში მან კიდევ ერთხელ განაცხადა მზადყოფნა ისრაელის გასანადგურებლად, რასაც ისრაელის არანაკლებ აგრესიული პასუხი მოჰყვა.

არ მინდა, მკითხველს ხასიათი გაგუფუჭო, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას – ვიდრე ჩვენ ხელისუფლება-ოპოზიციის წინააღმდეგობა და მთლიანად კავშირითობა განაღდგაფრავალი საფრთხეებით მთაქრუნავალი ციტი იფარება. ვგულისხმობ რუსეთ-უკრაინის, სინამდვილეში, რუსეთისა და დანარჩენი ცივილიზაციული საზღვარს დაუნდობლობის სისხლიან დაპირისპირებასა და კიდევ უფრო დაუნდობლობის ინსაულ-ჰამასის ომს.

სამწუხაროდ, კარგა ხანია ყველაფერი იმაზე მიგვიანებებს, რომ თუ უახლოეს მომავალში უცხოელი კეთილისმყოფელების უშუალო მონაწილეობით უკრაინაში საომარი მოქმედებები არ შეწყდება და სამშვიდობო მოლაპარაკებები არ დაიწყება, რუსეთ-უკრაინის დაპირის-

რისგან დგომთა დაგვიფაროს, მაგრამ გასულ კვირას ერთი ზნაპარობით საიდუმლოებით მოცული აფეთქება თბილისში, გოჭოროვის ქუჩაზე მდებარე სასწრაფოში მოხდა. დაიღუპა სამი ადამიანი, მათ შორის ერთი პოლიციის თანამშრომელი. სამი დაზარალებული გადაყვანილია საავადმყოფოში. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მიმდინარეობს გამოძიება.

გასულ კვირას ამერიკის შეერთებულ შტატებს ოფიციალური ვიზიტით ეწვია ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. თითქოს უცნაური არაფერია – მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოს უმაღლესი რანგის პოლიტიკოსი ეწვია მსოფლიოს მეორე უდი-

ღმერთმა ნუ ინებოს ღა, თუ მოვლენები ასე განვითარდა, საქართველოს მოგაგვინებელი საფრთხე ღამეუჭრება.

დეს სახელმწიფოს. მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩინელმა დიპლომატმა ეს გადაწყვეტილება მიიღო... ქალბატონ თინა ხიდაშელთან შეუთანხმებლად.

იმედია, ქალბატონი თინა თავის ტავიანულ მეგობრებთან და თვინა აქუზარდიასთან ერთად (ხაზვიშვილს ასეთი წვრილმანებისთვის არ სცალია!) განიხილავს ჩინელი მინისტრის ამ თვითნებობას და გადაწყვეტილებასაც გამოიტანს.

როგორც წინასწარ იყო გამოცხადებული, გასულ კვირას გამოქვეყნდა შედეგები ტელეკომპანია „იმედის“ შვიკვითი ჩატარებული გამოკითხვისა – „ვის მისცემდით ხმას, ხვალ რომ სავარსებდებოდა არჩევნები ჩატარდებოდა?“

თუ არ ვცდები, გამოკითხვაში 1500-ზე მეტი საქართველოს მოქალაქე მონაწილეობდა. ოქმის თანახმად, გამოკითხულთა 60%-ზე მეტი მხარს უჭერს „ქართულ ოცნებას“, 12% – ნაცმოძრაობას. ყველა დანარჩენის, მათ შორის თვით ბოკერიას პარტიის მომხრეთა რაოდენობა 5%-ს ვერ აღწევს. გულწრფელად რომ ვლიაირო, ამგვარი წინასწარი ვარაუდებისა მაინცდამაინც არ მჭერა, მაგრამ ნაცვები შეიძლება მშვიდად იყვნენ – მათი ახალი გეგმა ხაზმომავალ პარლამენტში აუცილებლად მოხვდება (თუ, რასაკვირველია, „ვიკამედელმა“ ძველმა გელადმა სააჩვენო პარტიულ სიამში ალფაბეტის მიხედვით არ შეიყვანა).

გასულ კვირას თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი ღამაჩნე გრიგორიადისის სისხლის საგართლის საქმეზე. შანთან მანჭში პარლამენტის შენობასთან გაგართული აგრესიული აქციის მიმდინარეობისას პოლიციის მკვლელობის მცდლოობის, პოლიციის მანქანის დაწვისა და გოჭოროვის ხოლოცობისთვის ოპოზიციის მიერ გვირგვინად შერაცხილ გრიგორიადისის 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიეწავა.

ბუნებრივია, ამით უკიდურესად უკმაყოფილო დარჩნენ მისი მფარველი და წამქე-

ჩემი აზრით, „გამგვირვალობასთან“ ღაკავშირებული ქართული ისტორიკა ღა არაბუნებრივი საქართველოს „შეფოთება“ იმის განიშნებალია, რომ ქართული ღა სხვა ქვეყნების ენჯიოებთან ღაკავშირებით, შესაქლოა, საქმე გვქონდეს საქართველოს ფინანსურ აფერასთან. ამ კანონის მიღებით საქართველოდან ღაიწყება ბრანდიოზული ფინანსური სკანდალი, რომელიც ელვის სისწრაფით გაგრძელდება მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში ღა ღღამე გამოქვეყნებაში მშვიდად მოქალაქეებულ შამრამ სახელოვან ქურღანასას შეიწირავს.



გიორგი გახიძე:

ოპოზიციის ასეთი დაბალი შედეგი არ არის კარგი!

„გორბის“ კვლევები თითქმის გულა ამთხვოდ საარჩევნო შედეგებს

„რამდენიმე არჩევნება გვაჩვენა, რომ „გორბის“ კვლევები ემთხვეოდა საარჩევნო შედეგებს – სხვაობა იყო პლიუს/მინუს 3 პროცენტით – ოპოზიციის ასეთი დაბალი შედეგები არ არის კარგი იმ მხრივ, რომ ჩვენ არ გვყავნან კონსტრუქციული, ოპოზიციური ძალები“ – ასე შეაფასა ექსპერტმა პოლიტიკურ საკითხებში, გიორგი გახიძემ საზოგადოებრივი აზრისა და მიზნების კვლევის საერთაშორისო ცენტრის „გორბის“ მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვითაც, „ქართულ ოცნებას“ ხმათა 60.4% აქვს.

– ტელეკომპანია „იმედის“ დაკვეთით საზოგადოებრივი აზრისა და მიზნების კვლევის საერთაშორისო ცენტრის, „გორბის“ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, კითხვაზე „პარლამენტის არჩევნებში ამ კვირას რომ ტარდებოდეს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას?“ – ალტოკაციის შემდეგ პასუხები ასე გადანაწილდა: „ქართული ოცნება“ – 60.4%; „ენმ-სტრატეგია აღმაშენებელი“ – 12.6%; „ლელო“ – 4.7%... როგორ ფიქრობთ, რამდენად ასახავს აღნიშნული კვლევა იმ განწყობას, რაც დღეს ამომრჩევლებშია?

– რამდენიმე არჩევნებზე გვაჩვენა, რომ „გორბის“ კვლევები ემთხვეოდა საარჩევნო შედეგებს – სხვაობა იყო მაქსიმუმ 3 პროცენტით. ეს მტკიცებულება იმაზე, რომ ეს ორგანიზაცია კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფუნქციას და განსხვავდება „ედისონ რისერჩისა“ და „ენდაის“ კვლევებისგან, სადაც სხვაობა 15 პროცენტზე მეტია.

ერთი მხრივ, ეს კარგია „ქართული ოცნებისთვის“, მაგრამ მეორე მხრივ, არ არის კარგი დემოკრატიისთვის, რადგან პოლიტიკაში უნდა იყოს ჯანსაღი კონკურენცია და ოპოზიციის ასეთი დაბალი შედეგები არ არის კარგი იმ მხრივ, რომ ჩვენ არ გვყავნან კონ-



სტრუქციული, ოპოზიციური ძალები. ყველა მომართულია დესტრუქციულად, ომის ნაქმრებზე, კანონიერი ხელისუფლების დახობაზე და ა.შ. შესაბამისად, ხალხის რეაქციას ადეკვატურია, როდესაც ამხელა პროცენტს აძლევენ მმართველ პარტიას.

ნინა არჩევნებმა, როდესაც ნულოვანი ბარიერი იყო, გვანახა, რომ ვერ მოხდა ოპოზიციური პარტიების გაძლიერება და გამსხვილება, პირიქით – მათ გააძლიერეს ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი რიტორიკა და მიზნებშიც არის პირდაპირი. სააკაშვილის არადეკვატური განცხადებები, ტრაგიკომიკური ფიგურა ლევან ხაბეიშვილი და სხვები, რომლებიც ისეთ ბრიყვულ და არათანმიმდევრულ განცხადებებს აკეთებენ, რომ არ ტოვებენ სერიოზულობის შთაბეჭდილებას, შედეგები გვაქვს ის, რაც გვაქვს.

ალბათ, არჩევნებამდე ეს მაჩვენებლები დარჩება, შეიძლება რამდენიმე პროცენტი შეეცვალოს ამ პოლიტიკურ სუბიექტებს. ვნახოთ, როგორი იქნება შემდგომი განვითარება. მთავარია, ქვეყანაში მშვიდობიანი და სტაბილური განვითარების კურსი შენარჩუნდეს და არ მოხდეს პროცესების აყირავება დესტრუქციული-რადიკალური ძალების მიერ.

– ამ კვლევის თანახმად, „სტრატეგია აღმაშენებელი“-ს „ნაციონალურ მოძრაობას“ 12.6% აქვს. ვიცით, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ სახელმძღვანელო ყველაზე დიდ ოპოზიციურ პარტიად. როგორ ფიქრობთ, იქონია თუ არა დიდი გავლენა, თუნდაც, ნიკა მელიას გამოყოფამ და რამდენად აქვს შანსი „სტრატეგია აღმაშენებელს“ გახდეს ერთადერთი, უმსხვილესი ოპოზიციური პარტია?

– ვიცით, რომ გიორგი ვაშაძე და პაატა მანჯგალაძე ტექნიკურად და იურიდიულად, მოიაზრებიან „ნაციონალურ მოძრაობის“ პარტიულ სი-აში. რადგან ოქტომბრის არჩევნებში მლოცვეები არ იქნება, შესაბამისად, ის, ვისაც აწყობს, რომ 5%-იანი ბარიერი გადალახოს, უნდა დაფიქრდეს, გაერთიანდეს თუ არა „ნაციონალურ მოძრაობასთან“, მაგრამ აქ პრობლე-მურია ისიც, რომ ძალიან ამბიციური ოპო-ზიციონერი ლიდერები გვყავს. ყველას სურს, თავისი პარტია, ე.წ. კანტორა ჰქონდეს, თუმცა, თავდაცვით ხომ ხედავენ, რომ მათი რე-იტინგები ბარიერს ქვემოთ არის?! – შესაბამისად, უნდა მიიღონ გარკვეული ზომები.

რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგის ასეთ მკვეთრ დაცემას, აქ არის ისევე კვანძოვანი-საბიჭვილი-მერაბიშვი-ლის ფაქტორი, ნიკა მელიას პარტიიდან, ფაქტობრივად, გაძევება ძალიან უხეში ფორ-მებით. ბუნებრივია, ნიკა მელიას აქვს გარ-კვეული მხარდაჭერა საქართველოს მასშ-ტაბით და ვნახეთ სხვადასხვა საკრებულო-ებიდან „ნაციონალურ მოძრაობის“ წევრების გამოსე-ლით, მაგრამ „ნაციონალურ მოძრაობის“ წევრები ერ-თეულში ხომ არ არიან, მათ ჰყავთ ოჯახის წევრები, თანამოაზრეები და ახლობლები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ნიკა მელიას ძა-ლიან უსამართლოდ მოექცნენ.

ასევე, ლევან ხაბეიშვილის სერიოზულ-მაზე საერთოდ არ შეიძლება ლაპარაკი, „კო-მელი შოუს“ ფიგურად იქნა მისი ნებისმი-ერი განცხადებით და სუპერპოპულარული ქმედებებით. ის, რომ „ნაციონალურ მო-ძრაობის“ რე-იტინგი ძალიან მკვეთრად დაეცა, გვახსოვს ბოლოს 20-22% ჰქონდა და ახლა თითქმის 10% დააკლდა, ძალიან მეტე მზგვს უკავ-შირდება. რაც შეეხება სხვა პარტიებს, გა-

ურკვევლობა არსებობს ელექტორატისთვის, მაგალითად, რით განსხვავდება ხაზარაძის „ლელო“ „ნაციონალურ მოძრაობისგან“.

გარკვეული განსხვავება შეიძლება ჰქონ-დეს „ევროპულ საქართველოს“, რომელსაც 4%-ზე მეტი აქვს და რაღაც რესურსები შე-იძლება ჰქონდეს, მაგრამ სხვა პარტიებს – გახარის პარტია, „გირჩი“, „დროა“ და ა.შ. ნულოვანი შანსი აქვთ. ვისაც ყველაზე და-ბალი რეიტინგი აქვს ოპოზიციისში, ის არის ყველაზე მყვირალა და აგრესიული. სასო-ნარკვევით მდგომარეობაში არიან და იცი-ან, დარჩებიან პარლამენტს მიღმა არჩე-ვების შემდეგ.

– ამ კვლევის გამოქვეყნების შემდეგ, რამდენად არის შესაძლებელი იმ პარ-ტიებმა, რომლებმაც 5%-ზე ნაკლები მი-იღეს, შექმნან ერთგვარი კოალიცია და გაერთიანდნენ?

– კოალიცია და ბლოკი ტექნიკურ-იური-დიულად ვერ იქნება, ერთი კონკრეტული პარტიის სია უნდა გამსხვილდეს და მასში ჩაენერონ სხვა პარტიის წარმომადგენლე-ბი, მაგრამ როგორ გვინდა, არ იქნება იქ დაპირისპირება, ვის რა ნომერი ერგო და ა.შ.? თუ პრაგმატულად არ იფიქრებ, მაშინ რჩებიან პარლამენტს მიღმა. შესაძლოა, ვინ-მეს არ უნდა „ნაციონალურ მოძრაობის“ სიაში ჩაწერა, მაგრამ იმ პარტიას, რომელსაც შედარებით მეტი რეიტინგი აქვს, ვთქვათ, მესამე ადგილ-ზეა, იმის გამსხვილება რომ მოხდეს სხვა-დასხვა ოპოზიციონერი პოლიტიკოსების მი-ერ, ფიქრობ, ეს ერთადერთი გამოსავალია. სხვანაირად, გამარჯვების შანსი არის ის, რაც კვლევაში აჩვენა.

შსაშპრ
ნიკო როსელი

ირაკლი ღარიბაშვილი: გერმანიაში პრემიერ-მინისტრის ვიზიტი მნიშვნელოვანი იყო

გერმანიაში პრემიერ-მინისტრის ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტი იყო, გერმანია არის ჩვენი ძალიან მნიშ-ვნელოვანი პარტნიორი, – ამის შე-სახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდო-მარე ირაკლი ღარიბაშვილმა სა-ქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი კობახიძის გერმანიაში ვი-ზიტის შეფასებისას განაცხადა.



როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, გერმანია იყო ერთ-ერთ ყველაზე გა-მორჩეული, გულმხურვალე მხარდამჭერი, რათა საქართველოს მიერ კანდიდატის სტატუსი. ამასთან, ღარიბაშვილმა კანცლერ შოლცს და გერმანიას მადლობა გადაუხადა.

მინდა, ინფორმაცია გავიზიაროთ, ჩემი არაერთი კო-მუნიკაცია შედგა კანცლერ შოლცთან, ვიდრე ვივლიდით

კანდიდატის სტატუსს. იცით, რომ შარშან, ივნისში ვიმყო-ფებოდი კანცლერის მიწვევით გერმანიაში, სადაც ვისაუბ-რეთ ამ საკითხებზე და დავსახეთ ერთად საგზაო რუკა, რო-გორ უნდა მიეღო საქართველოს კანდიდატის სტატუსი. მეორე რამ გავკეთდა ერთად. მინდა, იცოდეთ, რომ გერმანია იყო ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეული, გულმხურვალე მხარდამ-ჭერი, რათა საქართველოს მიერ კანდიდატის სტატუსი. ასე რომ, მე მინდა, მადლობა გადაუხადო კანცლერ შოლცს, გერმანიას და გერმანელ პარტნიორებს...

„ხალხმა ძალიან კარგად იცის, ვინ არის ირაკლი ღარიბაშვილი“

მიმდინარეობს მიზანმიმართული კამპანია, რომ რამე-ნიარად მოახდინონ ჩემი სახელისა და ზოგადად ჩემი ოჯახის დისკრედიტაცია, მაგრამ ეს არ მუშაობს, – ამის შესახებ „ქარ-თული ოცნების“ თავმჯდომარე, ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს ამბროლაურში განუცხადა.

ირაკლი ღარიბაშვილს „ტვ პირველის“ ჟურნალისტმა კითხვა დაუსვა ღარიბაშვილის მამის მიზნებისაქმიანობაზე მომ-ზადებულ სიუჟეტთან დაკავშირებით, რაზეც ღარიბაშვილ-

მა განაცხადა: „მართლაც მეუხერხულემა ამ საკითხებზე სა-უბარი – საზოგადოებამ, ყველამ ყველაფერი ძალიან კარგად იცის. ეს არის მიზანმიმართული კამპანია ჩემ წინააღმდეგ, რომ რაიმეხნაირად მოახდინონ დისკრედიტაცია ჩემი სახე-ლისა და ზოგადად, ჩემი ოჯახისა. ეს არახალაია. იცით, რომ ჯერ კიდევ 2012 წლამდე ჩემი ოჯახის წევრი დაიჭირა თქვენ-მა ხელისუფლებამ და რომ არ მოგვევო ჩვენ მაშინ, სასა-მართლო რა თქმა უნდა, ამ კაცს მოკლავდნენ, მე ციხეში დამიჭერდნენ. იცით, რომ პოლიტიკაში მოსვლის დღიდან, პირველივე დღეებიდან რამხელა აღვირახსნილი კამპანია წარმოებდა ჩემ წინააღმდეგ.“

ეს არის დისკრედიტაციის მცდელობა. მეორე – იცით, რომ რაღაც პერიოდი მე ალარ ვიყავი პოლიტიკაში და მა-შინაც გაგრძელდა ეს კამპანია. დაგზრუნდი პოლიტიკაში და ისევე გაგრძელდა. აღარ ვარ პრემიერ-მინისტრი, გა-აგრძელეს და აგრძელებთ ამ კამპანიას. მაგრამ, ერთი რამ ვერ გაიგეთ თქვენ – რომ არ მუშაობს. ხალხმა ძალიან კარ-გად იცის, ვინ არის ირაკლი ღარიბაშვილი, ასე რომ, ყველა კითხვაზე არის პასუხი გაყვითლი. თუ დამატებით რაიმე კითხ-ვები არსებობს, ამას ჩემი ოჯახის ადვოკატი გასცემს პასუხს და, რა თქმა უნდა, მოგიწევთ თქვენ პასუხის გაყვითლი. სასა-მართლოში“.

„ალტ-ინფო“ – კონსერვატიული მოძრაობის ფაზი არ ვყოფილვარ და არც მომავალში ვაპირებ – ზოგადად, არასდროს მქონია სურვილი, ზოგიერთებისგან განსხვავებით, როგორც კოლიტიკური დაჯგუფების ფაზი ვყოფილიყავი.

თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, კარგი არ მოვიხსნო და მათ უნებლიე შეცდომებზე კორექტულად საკუთარი აზრი არ დავაფიქსირე. მომზონს მათი მიზანსწრაფულობა და სიმტკიცე, არ მომზონს – გადაჭარბებული აგრესია და ნამეტანი თავდაჯერებულობა!

პირდაპირ ვიტყვი: ის, რაც „კონსერვატიული მოძრაობის“ მიმართ ჩაიდინა ხელისუფლებამ, არა მარტო არაადეკვატური „სასჯელი“, არამედ საზოგადოების გარკვეული ნაწილის პირდაპირი გამოწვევა – იმის გათვალისწინებით, რომ კონსერვატორებს საკმარისი მხარდამჭერები ჰყავთ და დღითიდღე იზრდება მათი რაოდენობა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს „სასჯელი“ მწვავე დაპირისპირების გარეშე არ ჩაივლის!

რამ აიძულა და რისთვის სჭირდებოდა ხელისუფლებას ვითარების ხელოვნურად დაძაბვა მოახლოებული არჩევნებისა და ამ ბოლო დღეებში სასიცოცხლოდ აუცილებელი კანონპროექტების (ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის შესახებ“ და ე.წ. „გაუმჯობესებლის“ კანონი) ინიცირების წინ?

თუ „ქართული ოცნება“ გულწრფელია საკუთარ ინიციატივებში და მას ნამდვილად სურს ამ კანონების მიღება, ცხადია, იგი ხალხის მხარდაჭერის გარეშე ამას ვერ შეძლებს!!!

ცხადია ისიც, რომ ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციის პროცედურა კანონმდებლობის ჩარჩოებში უნდა იქცეს. თუმცა, რამდენადაც ვიცი, „კონსერვატიული მოძრაობა“ დაახლოებით სამი წელია რაც დარეგისტრირდა ოქსტიციის სახლში (საჯარო რეესტრში). ეს იმას ნიშნავს, რომ მაშინ სათანადო სტრუქტურის არ გაუმახვილებია ყურადღება, ანუ ზერეულად დარეგისტრირეს (ეტყობა, მაშინ აწყობდათ კონსერვატორების გამოჩენა პოლიტიკურ ზედპირზე). ხოლო, როცა საქმე საარჩევნო სუბიექტად დარეგისტრირებაზე მიდგა, ხარვეზები „აღმოაჩინეს“ და არათუ გამოსწორების საშუალება მისცეს, პარტია ერთი ხელის მოსმით გააუქმეს!!!

რა ხდება?
ოქსტიციის სახლიც (საჯარო რეესტრი) და ცესკოც, ორივე სახელმწიფო ინსტიტუციაა, მართალია, განსხვავებული უფლებამოსილებით, თუმცა, სახელმწიფო ვერტიკალს დაქვემდებარებული!

„ჯერ გადახვი, კოლა გერე ღაიდახე“!



რაბომა გააუქმეს „კონსერვატორები“?

სადაც სამართალია, ხელისუფლებას (გერეჯინ დამარწმუნებს ცესკომ ეს გადაწყვეტილება „მემდგომთან“ შეთანხმების გარეშე მიიღო) პარტია კი არ უნდა გაუქმებინა, არამედ, საჯარო რეესტრის ის წარმომადგენლები მკაცრად უნდა დაესაჯა, ვინც ასე ზერეულად გააჩარა პარტია რეგისტრაციაში, ხოლო „ალტ-ინფო – კონსერვატიული მოძრაობისთვის“ ხარვეზების გამოსწორების საშუალება მიეცა. ეს ასე არ მოხდა, რაც ლოგიკურ კითხვას ბადებს:

ვის და რატომ გაეჩხინა ყულში „კონსერვატიული მოძრაობა“ და რამდენად უღებდა სახელმწიფოს ინტერესებში, აქედან გამომდინარე მოსალოდნელი შედეგები?
ა) „კონსერვატიული მოძრაობის“ გაუქმების დირექტივა შესაძლოა მოდის დასავლეთიდან – შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ გადაწყვეტილების (დირექტივის) უკან ამერიკის ელჩი, ქალბატონი დანიკანი იდგეს, რადგან, კონსერვატორების პოლიტიკური პათოსი ამკარად ეწინააღმდეგება ლიბერალურ იდეოლოგიას.
ბ) „ქართულმა ოცნებამ“ „კონსერვატორების“ სახით სერიოზული კონკურენტი და-

ინახა მომავალ საპარლამენტო არჩევნებში და სცადა ხალხის გატესტვა – რამდენად მყარია ხალხის მხარდაჭერა აღნიშნული პარტიის მიმართ! ამასთან, სურს თავად ჩაიგდოს ხელში კონსერვატიული ფლანგი და მათთვის განკუთვნილი ხმები საკუთარ ყულაბაში მითთვალოს.

გ) „ქართული ოცნების“ ახალი საკანონმდებლო ინიციატივები, რომელიც პირდაპირაა მიმართული ევროკავშირის დირექტივების წინააღმდეგ და საკუთარი სახელმწიფოს ინტერესების დაცვას ემსახურება, შეიძლება ინიციატივებად დარჩეს – ხელისუფლებამ წნეხს ვერ გაუძლოს და უკან დაიხიოს – „კონსერვატიული“ პარტიის გაუქმება კი შესაძლოა ხელისუფლების დაპირისპირების ასაკრებლად და ამის გადასაფარად შეიძლება სჭირდებოდეს!

დ) „ქართული ოცნება“ მზადაა დათანხმდეს დასავლეთის დაუინფორმებლ მოთხოვნას, კოალიციურ პარლამენტზე და მთავრობაზე – კრიზისალურ ოპოზიციასთან ერთად! ყველა შემთხვევაში, „კონსერვატიული“ პარტიის ასე მოულოდნელად გაუქმება, მიუთმეტს, „ხარვეზების“ სამი წლის შემდეგ

აღმოჩენა, რბილად რომ ვთქვათ, პარტიის მხარდამჭერების შეურაცხყოფაა. ამასთან, იმის დემონსტრირებაც, რომ მმართველ პარტიას კონსერვატორები არ აწყობს და როცა უნდა, მაშინ გააუქმებს. აქედან ავტორიტარიზმამდე კი ნახევარი ნაბიჯია!!!

მე არ ვიცი, რა გეგმები აქვთ კონსერვატორებს და მათ მხარდამჭერებს, რამდენად მტკიცე იქნება მათი პროტესტი, მაგრამ ყველაფერი დაძაბულობისკენ რომ მიდის, ცხადია.

ვის აწყობს დღეს დაპაბულობა ძველნაბო?

არა მგონია, ე.წ. მე-5 კოლონისა და კრიმინალური ოპოზიციის გარდა, ქართველ ხალხს ეს აწყობდეს – ამ შემთხვევაში, გადაწყვეტი იქნება ხელისუფლების პოლიტიკური ნება – სხვანაირად, ხალხი უკვე ყველაფერს აღარ მოითმენს!

ენახობ!
P. S. ზემოთ „კონსერვატორების“ გადაჭარბებულ აგრესიაზე და ზედმეტ თავდაჯერებულობაზე გავამახვილე ყურადღება, რაც არ მომწონს. ასევე, ვიტყვი იმასაც, რომ მათ, სამწუხაროდ, ვერ გათვალისწინეს მრწმული გამოთქმა: „ჯერ გადახვი და პოლა მერე დაიძახე!“ – მათ იჩქარეს და გადახტომამდე „პოლა“ დაიძახეს, რაც არ ემატათ!

შედეგობაში მაქვს მათი მხრიდან აუტირებული განცხადება, რომ ნაცვლად 25000 ხელმოწერისა, ერთ თვეში 50000 შეაგროვეს. იმედია, მომავალში უფრო თავდაჯეროლი იქნებიან, თუ, რა თქმა უნდა, პარტიას ხარვეზების გამოსწორების და საარჩევნო მართონში ჩართვის საშუალება მიეცა.

ამვე მინდა ერთ ნიშანსა გაგამახვილო ყურადღება:

ძალიან მინდა მჯეროდეს, რომ ეს ხელისუფლებით მართება: ყურადღება დროებით „კონსერვატორებზე“ იქნას გადატანილი და ამ განამანაში „ქართულმა ოცნებამ“ თავისი ახალი საკანონმდებლო ინიციატივები მოლოდინ მიიყვანოს!

ეს ის ჩანადიერია, როცა ხალხიც მოიგებს და ხელისუფლებაც. სხვანაირად, მუდმივ რყევებს ვერ აყვდებით, მოლოდინი, ხალხმა თავისი ძალა უნდა აჩვენოს!



ზაურ ნაჭყავია

მაგუკა მდინარაძე: აუბ-მა მოუხსნას სანქციები მოსამართლეებს და ბოლიში მოუხადონ ლაზა ჩხიკვაძეს!



მდინარაძემ უპასუხა ჟურნალისტის კითხვას აუბ-ის მოთხოვნაზე, გამოძიება დაიწყოს იმ მოსამართლეების მიმართ, რომლებმაც კითხვის ნიშნები არსებობს, რამაც მდინარაძემ აღნიშნა, რომ ამ მოთხოვნაზე მათ მტკიცებულებების წარმოდგენა მოითხოვეს, თუმცა არცერთი მტკიცებულება არ არის, რის გარეშეც, გამოძიების დაწყება არ არის დემოკრატიული სტანდარტი.

– რამდენიმე დღის წინ ჩვენ გვექონდა მათ მიმართ თხოვნა, მოეხსნათ სანქციები ჩვენ მოსამართლეებს, რადგან არანაირი მტკიცებულება არ არსებობს. შესაბამისად, ჩვენს კითხვაზე, თხოვნაზე და თუნდაც მოთხოვნაზე, რომ უსამართლო სანქციები მოეხსნათ ქართველი მოსამართლეებისთვის, მივიღეთ პასუხი, რომ გამოძიება დაიწყეთ. ჩვენ მათ ასევე ვთხოვეთ, მტკიცებულებები წარმოედგინათ. არცერთი მტკიცებულება არ არის და მტკიცებულების გარეშე გამოძიების დაწყება არ არის დემოკრატიული სტანდარტი, არც აუბ-ისთვის, არც ევროპისთვის და არც საქართველოსთვის. როგორც ამერიკელებს, ასევე ევროპელებს და ქართველებს გვაქვს საერთო ღირებულება – მტკიცებულებების გარეშე გამოძიებას არცერთი ქვეყანა არ იწყებს...

არ მოხონს არს ევროპირაქტივა, არს – ქართული

გენმანბის კანცლერმა იმედი გამოთქვა, რომ ამ სახით კანონს საქართველოში არ მიიღებთ, ისევე როგორც თქვა ევროკავშირზეც.
გერმანიის კანცლერმა თქვა, რომ მსგავსი კანონი არ არსებობს, მსგავსი არც ჩვენთან არ არსებობს. არსებობს ასეთი კანონი ჩვენთან? ხომ არ არსებობს, ასევე არ არ-

სებობს ევროკავშირში. იქაც დაინიცირებულია, ჩვენთანაც დაინიცირებულია, ჯერ არ არსებობს ასეთი კანონი. ეს თქვა გერმანიის კანცლერმა. მან, სხვათა შორის, იმედი გამოთქვა, რომ არ მიიღებთ თქვენ ამ სახით საქართველოში, ისევე როგორც თქვა ევროკავშირზეც. გერმანიის კანცლერს თავისი აზრი აქვს და ის კაცი დაუპირისპირდა ევროკავშირის ინიციატივას და დირექტივას იმასთან დაკავშირებით, როგორ უნდა დარეგულირდეს ეს და მსგავსი სფერო. ამ სფეროს რეგულირების ევროპისეულ ვერსიასაც შევინააღმდეგე, იმედი მაქვს, აქაც არ მიიღებენ, მსგავსი სიტყვები თქვა. ანუ, მას აქვს თავისი პოზიცია, არ მოსწონს, როგორც ჩანს, არც ევროდირექტივა, არც ქართული, ეს მისი საქმეა...

ნანა კაკაბაძე: ლაზარეს შეწყალებით სალომე ნათლად დაგვანახვა, რომ არს ბიორბი ოთხმეზურის შვილის მკვლელის შეწყალება ყოფილა მისი მხრიდან რაიმე შეთხვევითი შეხლოება



საქართველოში პრეზიდენტების მიერ შეწყალების საკითხი საზოგადოებაში თითქმის ყოველთვის იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას. ისეთ შემთხვევასაც მოვხსნარით, როდესაც სანდრო გირგვლიანის მკვლელებისთვის წინასწარ შეპირებული შეწყალების გამო მიხილ სააკაშვილს მსჯავრის კი დაედო. თავის წინამორბედებს არც სალომე ზურაბიშვილი ჩამორჩა და რამდენიმე ისეთი გახმაურებული მსჯავრდებული შეიწყალა, რომლებსაც საზოგადოების პროტესტი მოჰყვა.

საკმარისია გავხსენოთ გიორგი ოთხმეზურის შვილის მკვლელის შეწყალების ფაქტით გაოგნებული საზოგადოება, რომელიც ვერ ხსნიდა სალომეს გადაწყვეტილების მიზეზებს და ერთ-ერთ თითქოსდა დაუჯერებელ ვერსიად იმას აცხადებდა, რომ ზურაბიშვილმა პო-

ლიტიკური სიმპათიების გამო დასაჯა შეილმოკლული მამა. მაშინ ამ ახსნას ცოტა ვინმე თუ მიიჩნევდა საფუძვლიანად, მაგრამ ლაზარეს შეწყალებით სალომემ დღეს უკვე ნათლად დაგვანახვა, რომ არც გიორგი ოთხმეზურის შვილის მკვლელის შეწყალება ყოფილა მისი მხრიდან რაიმე შემთხვევითი შეცდომა...

„ქართული ოცნების“ ოპონთან „კონსერვატიული მოძრაობის“ წევრებმა აქცია გამართეს

აქციის მონაწილეები რამდენიმე დღის წინ ოქსტიციის სახლის მიერ „კონსერვატიული მოძრაობისთვის“ რეგისტრაციის გაუქმებას აპროტესტებდნენ, რის გამოც პარტია არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. პროტესტის ნიშნად, აქციის მონაწილეებმა „ქართული ოცნების“ დროა დანდეს.
აღდგომის მომლოდინეული იყო პოლიცია. ოქსტიციის სახლის გადაწყვეტილების მიზეზი დოკუმენტაციის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამობა გახდა. კონსტანტინე მორგოპიას განცხადებით, „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტიკური მოტივით გაუქმა მათ პარტია, რადგან მათი ხმების წართმევა სურთ, თუმცა, ამას არ დაუშვებენ. პარტიის ლიდერი აცხადებს, რომ თუკი პარტიის რეგისტრაცია არ აღდგება, ისინი მასობრივ პიკეტირებას დაიწყებენ.





სხმისი არ ვიცი და, ჩვენი ღვიძლი ენის დღეგანდელ მდგომარეობას რომ ვუყურებ, თავს არ მანებებს მიხა ხე-ლაშვილის ერთი ტკივილიანი სტროფი:

დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსა, ამადაც წუთისოფელი სულ მუდამ გვაცოდვილებსა...

306-306 და ხელაშვილს, როგორც შვილს - ყველაზე ნაკლებს ეთქმოდნა საკუთარი დედის მიმართ აგვარად სინანულის სიტყვები, რადგანაც უფრო დიდი დედისთვის - დედასაგვარად უფროსის ჰქონდა დროც და თავიც გადადგამდა.

მის გვერდით უფრო ბევრი იყვნენ ისეთნი, ვინც ერთსაც დალატობდა და მეორესაც... სწორედ დედისა და დედასამშობლოს სახელით!

ასე ხდება ხოლმე: ვინც ტყუის, ვინც ყი-დის, ვინც დალატობს, დედას ყველაზე ხშირად სწორედ ასეთი ადამიანი იფიცება!

რატომ მახსენებს თავს ამ აპრილის პირველ ფეხველი რაინდის ეს ლექსი?

14 აპრილი დედადღის დამსვენება ახალი წელია - ასე ჩაინერა ჩვენი დედასამშობლოს ახალი დამოუკიდებლობის ისტორიაში.

დედადღის ყოველი ახალი წელი, ჩვენი დიდი მასწავლებლების შეგონებით, უნდა დაინწყოს გავლილის ანგარიშგებით და ახალი ამოცანების დასახებით.

რაც დრო გადის, ყოველი 14 აპრილი სულ უფრო და უფრო მძიმედ საფიქრალი ხდება, სულ უფრო მათვრად შეგვახსენებს თავს ხელაშვილის სიტყვები - „დედას ვუყვარვართ შვილები, მაგრამ...“

როდესაც უნივერსიტეტის (მაშინ „უნივერსიტეტები“ ჯერ კიდევ არ იყო) ელიტარულმა შვილებმა „ჩემი დედა“ თქვეს, გონიერი მამიწვე უნდა მიხედრილიყო, რომ ესენი საკუთარ დედაზე არ გაჩერდებოდნენ, მერე - დედაუნივერსიტეტს, მერე - დედაენას, ბოლოს კი - დედასამშობლოს მიადგებოდნენ.

სწორედ ამ თაობამ - ბოლშევიზმის ყველაზე გიჟი პრინციპი - შიშმა ახალი, სინეკური დროის იდეოლოგია: საკუთარ სამსახურში - დედასაგვარად... (იგივე - დედასაგვარად, დედაენის...) სახელით! 306 ისმინა სულ-პრეტენზიული მარჯვ კონსტრუქციის გარდას-ტყვის შიშის გამაფრთხილებელი მითითება: „გიყვარდით ეროვნული მოძრაობა თქვენს თავში და არა - საკუთარი თავი ეროვნულ მოძრაობაში!“

ახლა ეს ცინიკოს-იდეოლოგები დიდ პატივში არიან - ერთ მხარესაც მათი იდეური შვილები აქტიურობენ, მეორე მხარესაც, და ისინიც - „მამათა“ მოძღვრებისამებრ, საკუთარი სამსახურისთვის წენავენ დედასამშობლოს (დედაუნივერსიტეტს, დედაენას...)! ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ დედადღისათვის ბრძოლის „ფრონტის ხაზმა“ იაკობ გოგებაშვილის „დედაენაზე“ გაიარა. ახალი დროის საზოგადოებამ, პირობითად, ორ მანაკად გაიყო - „დედაენის“ მომხრეებად და მის მონინალდმდეგებად.

ახალი იდეოლოგიისა და პოლიტიკის საფუძველზე, სწავლა-განათლების სადავეები და დედადღის (ეროვნული ენის) ზედი „დედაენის“ მონინალდმდეგებას ჩაუვარდათ ხელში.

დედაენა ხომ საფუძველი და დვრიტაა ჩვენი ეროვნული ვინაობისა და რა ვასაკვი-რია, თუ ყოველი მომდევნო 14 აპრილი სულ უფრო მეტად გამოკვეთს დედადღის და-რისხების საჭიროებას.

„დედაენასთან“ დამოკიდებულება რომ იდეოლოგიური ხასიათისაა, ამას პირველ რიგში გასული საუკუნის დასაწყისის, ანუ ბოლშევიზმის მხარე გამოვლილება ადასტურებს და ახალი დროის „ლიბერალური“ ნე-ომოლმევიზმიც საკმაოდ მოხერხებულად იყენებს იდეური (და ხშირად - გენეტიკურიც) წინაპრების გამოვლილებას.

მაგრამ დიდი იაკობის „დედაენას“ აქ უფრო სხვა ასექტით უნდა შევხებით.

„დედა არ გვახსოვს უვილებსა...“

აქვანება დედის სადღებრძელს თქვათი ყოჩად მეგობრებს

ახლა ხან, ქართველური ენების საკითხის პროვოკაციული გააქტიურების საპასუხოდ, „დედაენის“ სხენება დამჭირდა, მაგრამ იქ არსებითი არ მითქვამს.

იაკობ გოგებაშვილის გენიალური „დედაენა“ ეროვნული ენის სახელმწიფოებრივ შინაარსს ეფუძნება და არ უდრის იმ გაგებას, რასაც თანამედროვენი, ჩვეულებისამებრ, „დედაენის“ ცნებაში ვდებთ.

ახლანდელი გააზრებით, დედაენა „დედადღის ენას“, ანუ ნებისმიერ მშობლიურ ენას გულისხმობს (ეთქვათ: ოსის დედაენა ოსურია, ჩერქეზის დედაენა - ჩერქეზული და მისთ.), ანუ ამგვარი გაგებით იგი უდრის გერმანულ სიტყვას Muttersprache და მისთ.

როგორც ცნობილია, ტერმინი „დედა ენა“ იაკობ გოგებაშვილის მიერ არის დამკვიდრებული და იგი ამ ტერმინს ორ სიტყვად წერდა სწორედ იმიტომ, რომ სიტყვა „დედა“ ამ შემთხვევაში აღნიშნავს არა „დედას“, არამედ „მთავარს, ძირითადს“ (იხ. განმარტებითი ლექსიკონი). „დედა“ სიტყვის ამგვარი მნიშვნელობა სხვა რთულ სიტყვებშიც ჩანს და ჯერ კიდევ ილია მართალი მენიშნავდა, რომ ქართველი „უფროს ქალაქს „დედა-ქალაქს“ ეძახის, მკვიდრს ბოძს სახლისას - „დედა-ბოძს“, უდიდეს და უმაგრეს ბურჯს - „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს - „დედა-აზრს“...

ამდენად, იაკობმა „დედა ენა“ ტერმინში „დედაული“ ანუ „მშობლიური ენის“ აზრი კი არ ჩადო, არამედ მთავარი, ანუ სახელმწი-

ფო ენისა. ცნების ამგვარი გააზრება ორმაგ სტრატეგიულ მიზანს გულისხმობდა:

პირველი - ეს იყო რუსულთან, როგორც თვითმპყრობელი იმპერიის სახელმწიფო ენასთან ქართულის უპირატესობის აზრის განმტკიცება. ეს აზრი ჩვენი ერის მამებმა უპირობოდ დაამკვიდრეს და ეროვნულ დროშად აქციეს, განსხვავებით მეფის სხვა, თვითმპყობლობის ქვეშ მყოფი ერისა და ქვეყნისა. ამა, დავაკვირდეთ, როგორ ჩანს ეს ერთ იმდროინდელ მცირე დეტალშიც კი: 1902 წელს „ივერია“ იუნკებმა, რომ სოფ. სიონსა და სტეფანწმინდას სწვევია ექსარხოსი ალექსი, იგი ადგილობრივ სკოლაშიც მისულა და რუსულის ცოდნაც შეუმომწებია. კმაყოფილი დარჩენილა და ამის პასუხად ვინმე კანდე-ლაკს ჩაურთავს: დიახ, დედაენის მეშვეობით რუსულის სწავლა ეადვილებათო. ექსარხოსსაც ორგზის დაუდასტურებია: მართალია, რომ მშობლიური ენის გარეშე ბავშვები უცხო ენას ვერ აითვისებენო!

მეორე მიზანი იაკობისეული „დედა ენა“ ცნებისა: ყოველთა ქართველთა ეროვნული თვითცნობიერება, მინიმუმ 2 300 წლის წინ, ამგვარად ჩამოყალიბდა: ეროვნული ენა, ანუ „მთავარი ენა“ იყო ქართული, უპირობო გამაერთიანებელი ქართველთა უნიკალური ეთნოგრაფიული და ენობრივი „მრავალსმი-ანობისა“. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ სწორედ ამ გამაერთიანებელს, ქართველი ხალხის ერთად და, შემდეგ - ყველა შესაძლებელ შემთხვევაში, სახელმწიფოდ შემდუღებულ ფენიშენს გულისხმობდა.

სხადია, იგივე ტერმინი, უკვე შეერთებული სახით, ვიწრო მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა და გამოიყენება (როგორც სხვა ენებშიც ადასტურებს), მაგრამ გაუმართლებელია, ეს ორი მნიშვნელობა გავათანაბროთ.

დიდი ეროვნული კულტურები და მსოფ-ლმხედველობები „დედა ენის“ იმ პირველი, გოგებაშვილისეული გაგების საფუძველზე ყა-ლიბდებოდა.

აზრის განვითარების ყველაზე სერიოზუ-ლი დაბრკოლება სტერეოტიპების წარმოქმნა და მდგრადობაა. წინამავალი მენიშვნა ერთი ასეთი სტერეოტიპის დაძლევის ემსა-ხურებოდა. მეორეც:

უეგვმო ავტორიტეტი აქვს მარტინ ჰაიდენ-გერის ერთ ფორმულას: „ენა ყოფიერების სახლია“. არადა, ეს არასწორი წარმოდგე-ნაა. დიდ მოაზროვნეს რომ ეს ფორმულა ჰუმ-ბოლდტის ენის ფილოსოფიაშივე ეთქვა, კი-დევე გასაგები იქნებოდა; ჰუმბოლდტის შემ-დევე კი ამის თქმა, მარტივად რომ განესაჯოთ, სერიოზული უზუსტობაა. ადამიანის, ადამი-ანური ენისა და კაცობრიული ცივილიზაცი-ის მთელი ისტორიაა საბუთი იმისა, რომ ენა „ცნობიერების სახლია“, რომელშიც, ცხადია, ყოფიერებაც „პროექტირდება“, მაგრამ ადა-მიანის ცნობიერება, რომელიც ენობრივია და ენობრივად (მუდმივად) ვითარდება, ბევრად დიდ „სამყაროებს“ ქმნის. როგორც ცნობი-ლია, მუცნებში არსებობს სხვა ცოცხალ არ-სებათა ენებიც, ზოგჯერ ძალზე რთულიც და „რამ საიდუმლოც“, მაგრამ მათზე ცნობიერ-ების განვითარება არ არის დაფუძნებული. ამი-

ნაგლო საგანი არ არის, ის ეროვნული განათლების საფუძველია და უკლებლივ ყველა საგანთან, მუცნის, სკოლის შინა-არსთან არის დაკავშირებული.

მეორე მიზანი იაკობისეული „დედა ენა“ ცნებისა: ყოველთა ქართველთა ეროვნული თვითცნობიერება, მინიმუმ 2 300 წლის წინ, ამგვარად ჩამოყალიბდა: ეროვნული ენა, ანუ „მთავარი ენა“ იყო ქართული, უპირობო გამაერთიანებელი ქართველთა უნიკალური ეთნოგრაფიული და ენობრივი „მრავალსმი-ანობისა“. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ სწორედ ამ გამაერთიანებელს, ქართველი ხალხის ერთად და, შემდეგ - ყველა შესაძლებელ შემთხვევაში, სახელმწიფოდ შემდუღებულ ფენიშენს გულისხმობდა.

სხადია, იგივე ტერმინი, უკვე შეერთებული სახით, ვიწრო მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა და გამოიყენება (როგორც სხვა ენებშიც ადასტურებს), მაგრამ გაუმართლებელია, ეს ორი მნიშვნელობა გავათანაბროთ.

ტომაც ამგვარ ენებს მართლაც შეიძლება ვუ-წოდოთ „ყოფიერების სახლი“. მაგრამ ასე-თი ვიწრო შეფასება უფლისმეფის სასწაულის - ადამიანის ენისა ნამდვილად უსამართლო-ბა იქნება.

ეს რეპლიკა თუნდაც ამის მისათითებლად იყო საჭირო: თანამედროვე ენობრივი (სა-განმანათლებლო) პოლიტიკა იქით ჩანს მი-მართული, რომ ენა - განსაკუთრებით მცი-რერიცხოვან ერთა ენები - „ყოფიერების სა-ხლი“ იყო.

ქართველთა ისტორია უეჭველი სა-ბუთია იმისა, რომ ჩვენმა ერმა იმპერი-ების არაერთ შემოტევას და ზოგჯერ, ამირანივით, მათ გვამში „გამოზამთრე-ბასაც“ უპირველესად სწორედ ენობრივი სიმტკიცით გაუძლო.

თანამედროვე „ღია“, გლობალურ მსოფლიოში ეროვნული იდენტობის ამ, არსებითად, ერთადერთმა გამოხატულებამ სრულიად განსაკუთრებული მნიშვ-

დედაენა ხომ საფუძველი და ღვრიტაა ჩვენი ეროვნული ვინაობისა და რა გვახსოვს თუ ყოველი მომდევნო 14 აპრილი სულ უფრო მეტად გამოკვეთს დედადღის და-რისხების საჭიროებას.



დიდი სოფლან და ლაპროვანობა არ არის იმის დასაბუთებელი საჭირო, რომ ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ჩვენი ამ თქალსაგონით მებრად არასახარბიელად გამოვიყურებოდით. ის ორიოდე ფოტოილუსტრაცია, რომელიც ამ წერილს ახლავს, ჩვენი ღარიბი დედის, ჩვენი დედაენის დაშორებულ, დისკრიმინირებულ მკვლავარობას გამოხატავს საკუთარსავე დედასაგვარად, საკუთარ დედაქალაქში. და ეს სურათი მხოლოდ წვეთია პროვლემების გზაში!..

ფასეულობა თუ ღირებულება?

(მეზღვე მეზღვე)

პირველი ქართველი ლექსიკოლოგის განმარტებები და მინიშნებები, მისივე სიტყვები რომ გამოიყენოთ, ფასდაუდებელია. იგი ხომ უძველეს წყაროებზე მივყავართ! მივყავთ ამ მითითებებს:

ძველი აღთქმა, „მეორე რჯულის“ მე-3 თავის მე-7 სტროფი (სიონისა და ბაშანის აღების მერე მოსე ერთგან ამბობს): საცხოვარი მათი და ფასი მონაგები მათი ნატყუენევა თანა განვიყავით წილით და დავიყარით ქვეყანა მათი („მცხეთური ხელნაწერით“).

„მბოლის“ (1989წ) შესაბამისი მონაკვეთი ასეთი რედაქციისაა: „მთელი საქონელი და ნადავლი წამოვასხით ქალაქიდან: ახალი აღთქმა, „ხარება მარკოზისა“, თავი მე-10, სტროფები 23-ე და 24-ე: „და მიმოიხილა იესო და პრეტა მონაგევა თვისთა ვითარმედ ძნად შევიდნენ სასუფეველსა ღმრთისასა, რომელთა აქეთ საფასე“ იესო კიდევ ერთხელ იმეორებს ამ მოსაზრებას... რაოდენ ძნელ არს, რომელნი საფასესა ესვენ, მესელა სასუფეველსა ღმრთისასა“. 1989 წლის „მბოლიაში“ სიტყვა საფასე შეცვლილია სიტყვით „სიმდიდრე“: „მიმოიხილა იესო და თავის მონაგევეს უთხრა: რარიე ძნელია მდიდართათვის ღმრთის სასუფეველში შესვლა. მონაგევეს გაუკვირდათ ეს სიტყვები, ხოლო მან ხელახლა უთხრა მათ: შეიღებო, რარიე ძნელია სიმდიდრის მოყვარულთათვის ღმრთის სასუფეველში შესვლა“. ამ ორი ციტატიდან ნათელია, რომ ფასი სიმდიდრეა, ხოლო საფასე – ფასეულობა.

ორი ათეული წლის წინათ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კოშკებში გადავიღე IX-X საუკუნეების ძალიან საინტერესო ღვთისმობლის სახელომის ტაძარი, რომლის აღმოსავლეთ ფასადზე, ე.წ. „დავითის ფარის“ რელიეფურ გამოსახულებას თან ახლავს დაქარაგმებული ასომთავრული ქტიტორული წარწერა: „ქ. სახელითა ღმრთისათა ესე ქვაი მე ლომმან (ლეონმან) დაესუი ჩემითა ფასითა“.

ამრიგად, როგორც კოშკების ეკლესიის IX-X საუკუნეების, ისე მიბლოერი ტექსტების „ფასი“ და „საფასე“ სხვა ვერაფერი იქნება თუ არა სიმდიდრე, უნჯი, სასწრაფო სულაჲ ოქრო-ვერცხლი და სპეკული – ანუ ის რაც დიდად ფასობს და ფასეულია.

ღმერთი, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ „ღირებულებანი“ ბრმა მიმადებითაა გადმოღებული „ფასეულობიდან“. გარდა ამისა, თუ სიღრმისეულად მივუღვებით, სიტყვა „ფასე“ საკრალური მნიშვნელობა ეძლევა და ამის მიზეზსაც მოგახსენებ:

მდინარე რიონის მდინარე ძველბერძნული სახელწოდება „ფასისი“ (ფასიდოს), როგორც პროფესორმა ვალერიან ასათიანმა აგვისხნა, უკვე დადგენილია, რომ ბერძნული ქართულ-მანური „ფუთიმიდან“ (ფოთილი – ფოთი) უნდა იყოს შესული. ამასთანავე, ბერძენი ეპიკოსის ჰენოქის თქმით, იგივე სახელი „ფასისი“ ერქვა ოკეანის შთამომავალს და იგი სწორედ რიონისა და მისი შემოგარენის ღვთაება იყო.

ჩვენ ჩვენის მხრივ დავძენთ, რომ უფრო კონკრეტულ განმარტებას იძლევა „მითოლოგიური ლექსიკონი“, სადაც ნათქვამია, რომ ფასისი მზის ღვთაების ჰელიოსის ძეა; იქ კი, სადაც მზეა, საკრალურად ცეცხლი და ოქროც ელვარებს. აქედან გამომდინარე, ჩნდება თამამი ვერსია, რომ „ფასისი-ფუთიმი“ მდიდარ, ოქროს მდინარეს უნდა გულისხმობდეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ რიონი სათავეს ფასის მთიდან (ასე ჰქვია ამ მთას დღესაც), ხოლო არგონავტებმა ოქროს სანძისი და ოქროს მოპოვების საიდუმლო ფასისის სათავეებიდან წაიღეს, ასეთი ვერსია გადაჭარბებული სითამამე არ უნდა იყოს.

ძველი თუ ახალი აღთქმის წიგნები ჩვენმა წმინდა მამებმა ძველბერძნულიდან თარგმნეს და სიტყვა ფასის საგარეოდ უცვლელად დატოვეს, როგორც არა მხოლოდ ოქროს, არამედ ზოგადად უნჯის მნიშვნელობით. ეკონომიკის სფეროში მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ გადაინაცვლა ამ სიტყვამ. მაშინ როცა პირიქით – გამოთქმა „ღირებულებამ“ მოულოდნელად, ვიდაცის დაუკვირვებლობით, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ შემოაღაყუნა ეკონომიკური სფეროდან სულიერების სფეროში და საზოგადოების დიდმა ნაწილმა დაუფიქრებლად აიტაცა იგი. არც იმას დაუკვირდა არავინ, რა საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა გამოთქმებს „სულიერ თუ მხატვრულ-კულტურულ ფასეულობებს“, რომ ასეთი გამოთქმები სულიერ და კულტურულ, ისტორიულ და ტრადიციულ სიმდიდრეს ნიშნავდა და არა ფულად ზომა-წონას.



ამიტომ, სანამ გვიან არ არის, გთხოვთ, მისაღებ კანონპროექტში სასწრაფოდ შევიტანოთ შესწორება: „**ოჯახური ფასეულობები**“ და, არა „**ოჯახური ღირებულებები**“. კანონში შეტანილი ეს ცვლილება უმაღლესი საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად უნდა იქნას მიჩნეული.

სიტყვა არც ბაასია და მითუმეტეს არც ლაპარაკი და ლაქლაქი; სიტყვა აზრია და, ისევე როგორც სხვა ენებში, ქართულშიც მას ღრმა, არსობრივი მნიშვნელობა, სულიერი წყობის მუხტი აქვს. „თავდაპირველად იყო სიტყვა (არსი), სიტყვა (არსი) იყო ღმერთთან და ღმერთი იყო თავად სიტყვა (არსი) – გვეუბნება იოანე მახარებელი – ქრისტეს საყვარელი მონაფე. ეს არის სამყაროს, კოსმოსის ერთ-ერთი ოქროს გასაღები. ნუ დაგვარგავთ ამ გასაღებს!..


იმაღლი მაქვს, რომ ქართული ფასეულობებისა და სუვერენიტეტის დამცველი ხელისუფლება ყურადღებით მოეპყრობა ამ რჩევას.

პატივისცემით

ბელა ქოქიაშვილი,
ბაქალავრთმცოდნე და
ისტორიკოსი, საქართველოს
დამსახურებული ჟურნალისტი,
პატივითა თაყვანისცემის
პრემიის ლაურეატი



ირანმა ისრაელს 300-ზე მეტი დრონით და რაკეტით შეუტია!..



რეთ 100-ზე მეტი ირანული უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოაგდეს, – ამის შესახებ ისრაელის თავდაცვის ძალების ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა.

მანამდე ისრაელის თავდაცვის ძალებმა დაადასტურეს, რომ მათ მიერ იდენტიფიცირებული იყო 100-ზე მეტი დრონი, რომლებიც ირანიდან ისრაელის მიმართულელებით მიემართებოდნენ.

ამასთან, გაეროში ირანის მისიამ განცხადება გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ ლეგიტიმური თავდაცვის შესახებ გაერო-ს წესდების 51-ე მუხლის საფუძველზე, ირანის სამხედრო ქმედება იყო პასუხი სიონისტური რეჟიმის აგრესიაზე დამასკოში, დიპლომატიურ შენობებზე თავდასხმამ და „საკითხი შეიძლება, დასრულდეს ლაღ ჩაითვალოს“.

ირანის პრემიერ-მინისტრი ირაჰან ჰამინი თქმით, ირანის მიერ ისრაელის ტერიტორიაზე დრონებითა და რაკეტებით განხორციელებული თავდასხმით, „**ირანის ხელისუფლებამ ისტორიული ნაბიჯი გადადგა და ისრაელს საკადრისი გაპატივობა ჩაუტარა**“.

ჩვენ მოვიგებთ, დავმარტოვებთ, ერთად გავიმარტოვებთ,

– ამის შესახებ ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეტანიაჰუ „ტვიტრზე“ წერს. ეს ირანის თავდასხმის შემდეგ ნეთანიაჰუს პირველი საჯარო კომენტარია. ნეთანიაჰუ შეტყობინება მას შემდეგ გამოაქვეყნა, რაც ომის კამპიების მინისტრთან, მენი გაუნსა და ისრაელის თავდაცვის მინისტრთან, იოაჲ გალანტთან შეხვედრა გამართა, სადაც მიმდინარე სიტუაცია შეაფასეს.

ბაიდენს არჩევნებში ლგბტ თემის იმედი აქვს



პო ბაიდენის წინასაარჩევნო კამპანიაში **LGBTQ** ამომრჩევლების მხარდაჭერის მოსაპოვებლად ახალი კამპანია გამოაცხადა.

„მაშინ, როდესაც ბაიდენი ცდილობს თეთრ სახლში კიდევ ერთი ვადით დარჩენას, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად დაბალი რეიტინგი აქვს, ბაიდენისა და ჰარისის გუნდმა კამპანიის დაწყება გამოაცხადა. კამპანია აღწერს პროგრამას, როგორც ძალისხმევა **LGBTQ+** ამომრჩევლებისა და თემის წევრების (მხარდაჭერის) მობილიზებისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით“.

განცხადებაში ბაიდენისა და ჰარისის 2024 კამპანიის მე-ნეჯერმა, ჯული ჩავენს როდრიგესმა განაცხადა, რომ **LGBTQ+** ამომრჩევლები ანგარიშგასანევი ძალაა.

„**LGBTQ+** ამომრჩევლებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს

ჩვენს გამარჯვებაში 2020 წელს და გადამწყვეტი როლს ითამაშებენ ნომრები გამარჯვებაში“, – აღნიშნა ჯული ჩავენს როდრიგესმა.

კამპანიის განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ ბაიდენისა და ჰარისის ადმინისტრაცია „ყველაზე პრო-**LGBTQ+** ადმინისტრაცია ისტორიაში“ და **LGBTQ+** ამომრჩევლები განიხილებიან, როგორც არჩევნებში გამარჯვების სტრატეგიის ძირითადი ნაწილი.

ვლადიმერ პუტინი: რუსეთს არასდროს უთქვამს უარი უკრაინასთან უთანხმოებაში მშვიდობიან დარბაზში

„**მძვენი ცხობი, რომ ჩვენ არასდროს გვითქვამს დავების მშვიდობიან დარბაზში უარი. მეტიც, ჩვენ სწორედ ამისკენ ვიყავით მომართული. ჩვენ არ დავინწყია ეს ომი 2014 წელს. ყველაფერი უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალებით დაიწყო**“, – განაცხადა პუტინმა.



მან ისაუბრა უკრაინასთან ბელარუსსა და თურქეთში გამართულ მოლაპარაკებებზე და აღნიშნა, რომ სტამბოლის მოლაპარაკებების შედეგად ორივე მხარის მიერ პარაფირებული იყო დოკუმენტი.

„როგორც იცით, შემდეგ დასავლეთის წინააღმდეგ უკრაინულმა მხარემ თქვა ამ შეთანხმებებზე. შეგახსენებთ, მაშინ ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ უკრაინა ვერ მოახერხებს ხელს დოკუმენტს „საფეთქელთან მიღებული იარაღით“, საჭიროა კივილიდან ჯარების გაყვანა. ჩვენ ეს გადავკეთეთ. როგორც კი ეს გადავკეთეთ, ჩვენი შეთანხმებები სანაგებზე მოსროლეს“, – განაცხადა პუტინმა. ამასთან, მან აღნიშნა, რომ რუსეთი არ არის მიწვეული შევიყაროთ და გვემთხვეოდნენ კონფერენციაზე. „ჩვენ არ დავუპატიუებდით და ამზობენ, რუსეთი უარზეაო“, – დასძინა პუტინმა.

არსებობს სერიოზული რისკი, რომ უკრაინა 2024 წელს ომში დაეარსება

დიდი ბრიტანეთის არმიის გაერთიანებული ძალების ყოფილი მეთაურის, გენერალ სერ რიჩარდ ბარონის განცხადებით, არსებობს სერიოზული რისკი, რომ უკრაინა 2024 წელს ომში დაეარსება.

ბარონის თქმით, ამის მიზეზია ის, რომ უკრაინელებმა შეიძლება იფიქრონ, რომ გამარჯვების მიღწევა უკვე შეუძლებელია. „როდესაც საქმე აქამდე მივა, რატომ გავგრძელებთ ადამიანები მძილას და თავის განიარაღებას, რათა დაივიწყონ ის, რისი დაცვა შეუძლებელია?“ – ამბობს გენერალი.

მისივე განცხადებით, უკრაინა ჯერ არაა ასეთ მდგომარეობაში, მაგრამ უკრაინული ჯარის შეიარაღების, ცოცხალი ძალისა და საჭირო თავდაცვის საშუალებების მარაგები კრიტიკულად დაბალი ნიშნულზეა. გასული წლის უკრაინული კონტრიბუციის შედეგად ვერ მოხერხდა რუსული არმიის უკუქცევა და ახლა მოსკოვი ზაფხულის იერიშს ამზადებს. რაღაც მომენტში მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში რუსეთი შეეცდება, გააძლიეროს უკრაინული თავდაცვითი ხაზები. ჩემი აზრით, პირველი მიზანი დონბასის რეგონიდან გასვლა იქნება. რუსეთი შეეცდება, დაიკავოს ხარკოვი, რომელიც რუსეთის საზღვრიდან 29 კილომეტრში მდებარეობს – ეს დიდი პრიზი იქნება.

ევროპის დედაქალაქებმა უარყვეს კიევის მოთხოვნა უკრაინაში საპატივითი სისტემების გაგზავნის შესახებ

რუსეთის მხრიდან ერთკვირიანი დაუნდობელი სარაკეტო დამოხმების შემდეგ, რამაც გაანადგურა კრიტიკული მნიშვნელობის ენერგეტიკული სადგურები, ევროპის დედაქალაქებმა უარყვეს კიევის მოთხოვნა უკრაინაში საპატივითი სისტემების გაგზავნის შესახებ.

უკრაინა დიდი ხანია აცხადებს, რომ მას სჭირდება საპატივითი თავდაცვის საშუალებები, რათა დაიკავოს თავი რუსეთის სარაკეტო თავდასხმებისგან, რომლის საშიზზე ქვეყნის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურაა. უკრაინის პრემიერ-მინისტრი, შენი გაუნსი მოკავშირეებს მოუწოდა, შეასრულონ თავიანთი დანაირები სახელმწიფო დახმარების განწევასთან დაკავშირებით.

„რუსი ტერორისტები ყოველდღე ახორციელებენ დარტყმებს ელექტროენერჯის ქსელებზე ხარკოვსა და სხვა ქალაქებში და ყოველდღე გვემის, რომ ახალი დახმარება მალე მოვა. რეალობა საბოლოოდ უნდა შეეცდებოდეს სიტყვებს და უზრუნველყოფილი უნდა იყოს რუსული ტერორის რეალური დანაკარგები“, – აღნიშნა ვოლოდიმირ ზელენსკიმ.

ევროპულ დედაქალაქებში განაცხადეს, რომ არ აპირებენ უკრაინაში მეთქვის სისტემის გაგზავნას, რადგან უნდა შეინარჩუნოს საკუთარი თავდაცვის შესაძლებლობები. გერმანიაში უკრაინის Patriot-ის ორი სისტემა გადასცა, თუმცა მიმდინარე კვირაში განაცხადა, რომ მეთქვის სისტემას აღარ მიანვდის.

ოქანის გალა-გამოლა

ყორალ, მამუ!

პარიზის ოლიმპიადის საკვალიფიკაციო რაუნდის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო აქტუალური ხდება ქართველ ლეგიონერთა ოპტიმალური სათამაშო კონდიციების აკრეფის საკითხი, რასაც პირდაპირ უკავშირდება ლატვიაში იელისის დასაწყისში გასამართავ მინი-ტურნირზე ჯვაროსანთა ამბიციების საფუძვლიანობა – მათ ხომ მასპინძელთა უძლიერესი ნაკრების სახით უმთავრეს ფაფორიტთან მოუწევთ გამკლავება.

ნპ. რეგულარული სეზონის ფინიში მეორე სუნთქვა გაეხსნა ექვსთვიანი მარათონის აუტსაიდერს სან ანტონიო სფერუს, სადაც ფრანგ ვუნდერკინდ ვემბანიამასთან უბერებელმა გრეგ პოპოვიჩმა სანდრო მამუკელაშვილის შეწყვილებით მრისხანე დამრტყმელი დუეტი შექმნა.

სან ანტონიო – დენვერი 121:120. მოქმედ ჩემპიონთან ერთი შეხედვით უთანასწორო ბრძოლაში ტეხასელემბამ პირნმინდალ დათმეს პირველი ნახევარი, მაგრამ შეს-



ვენების შემდეგ გენიალური იოკიჩი, რომ იტყვიან, სარბიელიდან გააქრეს. აღსანიშნავია, რომ ნავეტისის დაშამათებაში ღირსეული წვლილი ჩვენმა თანამემამულემ შეიტანა, რომელმაც სახელოვან დამრიგებელს 30-წუთი-

ანი ნდობა 21 ქულით, 12 მოხსნითა და 2 შედეგიანი გადაცემით დაუფსა.

საპირისპიროდ ვითარდება მოვლენები გოგა ბითაძის ირგვლივ, რომელსაც სულ უფრო იმეოთად ეძლევა თავის გამოჩენის შანსი პლეი-ოფში გასული ორლანდო მეჯიქის შემადგენლობაში. ამჯერად ფილადელფიასთან წაგებულ მატჩში მისი მოკრძალებული პირადი სტატისტიკა მხოლოდ 5 ქულასა და 2 მოხსნას გაუტოლდა.

მწროლიმა. ვირტუს ბოლონიას ბედისწერა საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ჩააფლავო კარგად დანყებული საქმე.

ბოლონია – მასკონია 91:95. ბედისწერა მე-7(!) მარცხის მიუხედავად, იტალიურ გრანდს ეყო ფეფერიულ სტარტზე შექმნილი მარაგი და პლეი-ინში მაინც გააღწია, თუმცა, როგორც წინასწარი ეტაპის მეთაუდგილოსანს, თურქეთში უმძიმესი გასვლითი გამოცდის ჩაბარება მოუწევს ეფესთან, არადა ტრავმების ეპიდემიამდე ლუკა ბანკის გუნდი მხოლოდ რეალს ჩამორჩებოდა.

რაც შეეხება იტალიელთა ქართველ ლიდერს, თორნიკე შენგელიამ, რომელმაც ესპანური კარიერის ფინიში მასკონია ქვეყნის ჩემპიონი გახადა, ეტყობა, არც მისი შესაძლებლობებია უსაზღვრო, რადგან შესანიშნავი სეზონის ბოლო შეხვედრაში პარტნიორებს მხოლოდ 8 ქულა და 4 მოხსნა შეაშველა. ვიმედოვნებთ, ეს დროებითი ჩავარდნა.

ღაბრუნება

რაბის მქაუი



068 ოსელი ნიარდ კოპერილის დე-ბიუტი „შავი ლომის“ მთავარი მწვრთნელის რანგში 3 მაისს მისი მშობლიური კლუბის „ლესტერ თაიგერსის“ წინააღმდეგ შედგება.

53 წლის კოკერილი „უელფორდ როუდზე“, რომელიც 25 849 მაყურებელს იტევს, 2017 წლის შემდეგ ბრუნდება. ამხანაგური თამაში თბილისის დროით 22:30 საათზე დაიწყება. რიარდმა მოთამაშის კარიერის უდიდესი ნაწილი სწორედ „ლესტერ თაიგერსში“ გაატარა. ის 144 წლის ისტორიის მქონე გუნდის ღირსებას 1992-2002 წლებში იცავდა, რის შემდეგაც ორი სეზონი „მონპელიეში“ ითამაშა და 2004-2005 წლებში კვლავ „ვეფხვებს“ დაუბრუნდა.

„ლესტერ თაიგერსში“ დაიწყო კოკერილის, როგორც მწვრთნელის კარიერა. 2005-2009 წლებში ის შერკინებას ავარჯიშებდა, 2009-2017 წლებში კი მთავარი მწვრთნელის პოსტს იკავებდა და გუნდს არაერთი ისტორიული გამარჯვება მოუპოვა.

1880 წელს დაარსებული გუნდი 11-ჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი (1988, 1995, 1999, 2000, 2001, 2002, 2007, 2009, 2010, 2013, 2022), 7-ჯერ კი მეორე ადგილი დაიკავა. „თაიგერსი“ 2001 და 2002 წლებში ფლორდა ჩემპიონთა (1997, 2007 და 2009 წლებში ფინალში დამარცხდა), ხოლო 2007, 2012 და 2017 წლებში ანგლო-უელსის თასებს.

პრემიერლიგის გასული სეზონი „ლესტერმა“ მე-3 პოზიციაზე დაასრულა. მიმდინარე გათამაშებაში ის 14 თამაშიდან 39 ქულით (8 მოგება, 6 მარცხი) ჯერჯერობით მე-7 ადგილზეა და მხოლოდ 5 ქულა ამორებს მეორე პოზიციაზე მყოფ „ბათს“. ამ სეზონში „ვეფხვები“ უკვე გავიდნენ პრემიერლიგის თასის ფინალში და იქ „გლოსთერთან“ 13:23 დამარცხდნენ.

„შავი ლომი“ ბრიტანულ ტურნეში 18 აპრილს გაემგზავრება, შოტლანდიაში, ედინბურგში ჩავა და ერთკვირიან შეკრებას გაივლის, რის შემდეგაც ისტ-მიდლენდში გადაინაცვლებს და „ლესტერ თაიგერსთან“ ამხანაგური მატჩისთვის მოემზადება.

მოუთმენლად ველი ქართულ გუნდთან ერთად ჩემპიონის მშობლიურ მხარეში დაბრუნებას. „ლესტერს“ ჩემს ცხოვრებაში უდიდესი ადგილი უკავია. მოთამაშის თუ მწვრთნელის რანგში, „უელფორდ როუდთან“, რომელსაც უნიკალური ისტორია და აურა აქვს, უამრავი თბილი მოგონება მაკავშირებს. ეს თამაში შესანიშნავი შესაძლებლობაა „შავი ლომისთვის“ ჩელენჯ თასის წარმატებული სადებიუტო სეზონის შემდეგ, კიდევ ერთხელ ითამაშოს ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის წინააღმდეგ – განაცხადა რიარდ კოკერილმა.

ლეგიონერი

მეორე სუნთქვა


ცყუილად როდია ნათქვამი, ყოველი წუთი ძვირფასიაო. შორეუ მიმართულება მოგახსენებთ, რომელსაც აიაქსში ნახევარი სეზონი ფუჭად გაუცდა და ლიგა – 1-ში დამბრუნებული მცის შემადგენლობაში ახალ სპექტაკლებს დგამს.

15 მატჩში გატანილი 9(!) გოლი და 3 ზუსტი პასი – ასეთი საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელის ამჟამინდელი მონაგარი, რამაც მის ვუნდს ხელი უნდა შეუწყოს ფრანგულ ელიტაში ადგილის შენარჩუნებაში. ეს რომ სასწავლით არ გახლავთ უტოპია, ბოლო ორ ტურში ჯვაროსნის მიერ შესრულებული დუბლი მონმობს.

შეგახსენებთ, რომ ტრიუმფალური საწარგობო მარტის შემდეგ კლუბში დაბრუნებულმა მიქაუტაქემ სენსაციურ მეორეადგილოსან ბრესტთან 0:4-ზე 2 მურთი კი გაიტანა, მაგრამ მაინც ვერ იხსნა – 3:4, ხოლო ამჯერად შინ ლანსთან 0:1-ზე პირველივე ტაიმში კიდევ ორჯერ გაისროლა ზუსტად და მასპინძლებს მოაგებინა – 2:1.



ოლიმპიურ ტალღაზე




წიადომის საერთაშორისო ფედერაციამ (UWW) იტალიის ჭილაობის ფედერაციისგან ოფიციალური საჩივარი მიიღო, რომელიც პარიზის ოლიმპიადის სალიცენზიო შეხვედრას შეეხება თავისუფალ ჭილაობაში ფრანკ ჩამიზოსა და ანდრე ბაიჩანელ თურან ბაირამოვს შორის.

როგორც UWW იტყობინება, მსაჯების ყველა გადაწყვეტილება გულდასმით შეფასდება და განიხილება. შესაბამისად, გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მიიღებენ.

ჩამიზოს ბაირამოვთან მსაჯებმა ძალზე საეჭვო ვითარებაში წააგებინეს და ამ შეხვედრას დიდი სკანდალი მოჰყვა. როგორც ჩანს, ჭილაობის საერთაშორისო ფედერაციამაც რეაგირების მოხდენა სწორედ დიდი ხმურის შემდეგ გადაწყვიტა. ჯერჯერობით, შედეგი ძალაში რჩება: ბაირამოვმა შეხვედრა მოიგო და პარიზის ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვა, თუმცა, არაა გამორიცხული ყველაფერი შეიცვალოს.

მსოფლიო მძლეოსნობა (World Athletics) პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე მნიშვნელოვანი სიხლის დასაწერად ემზადება. მმართველი ორგანოს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულთათვის საპრიზო ფონდი დანესდება.

World Athletics გახდა პირველი საერთაშორისო ფედერაცია, რომელიც თავისი სახეობისთვის ოლიმპიურ თამაშებზე საპრიზო ფონდს შემოიღებს. კერძოდ, ჩემპიონობისთვის 50 ათასი დოლარია გათვალისწინებული. ესტაფეტაში გამარჯვებისთვის თანხა გუნდზე



გაიყოფა. მთლიანი საპრიზო ფონდი 2,4 მილიონი აშშ დოლარით არის განსაზღვრული, რომელიც თავის მხრივ გამოყოფილია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) შემოსავლების წილიდან, რომელსაც მსოფლიო მძლეოსნობა ყოველ ოთხ წელიწადში იღებს.

World Athletics აღნიშნავს, რომ 2028 წლის ლოს ანჯელესის თამაშებზე დამატებითი საპრიზო ფონდი დაარსდება ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორებისთვის.

პარიზი XXXIII ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს 26 ივლისიდან – 11 აგვისტოს ჩათვლით.

მომდებლად ზაფხულის ოლიმპიურ სახეობათა საერთაშორისო ფედერაციების ასოციაციის (ASOIF) 48-ე გენერალურ ასამბლეაზე, თავისი რიგებიდან კრივის საერთაშორისო ასოციაციის (IBA) გარიცხვას უყარეს კენჭი.



ASOIF-ის რიგებიდან IBA-ს მოკვეთას მხარი დაუჭირა 28 დელეგატმა, ერთმა კი თავი შეიკავა.

ცოტა ხნით ადრე სპორტის საარბიტრაჟო სასამართლომ (CAS) არ დააკმაყოფილა კრივის საერთაშორისო ასოციაციის აპელაცია და ძალაში დატოვა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) სესიის გადაწყვეტილება IBA-ს აღიარების გაუქმების შესახებ.

CAS-ის მაშინდელ განცხადებაში საზგასმული იყო, რომ IBA საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ აღიარებისთვის დადგენილ პირობებს არ შეესაბამება. კერძოდ, IBA-მ არ გაზარდა ფინანსური გამჭვირვალობა, არ უზრუნველყო მონიტორინგი და სამართლიან მსაჯობაზე ზედამხედველობა, სრულად და ეფექტურად არ შეასრულა IOC-ის მიერ შეთავაზებული სხვა ღონისძიებები.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა IBA-ს (მაშინ – AIBA) უფლებამოსილება 2019 წელს შეუჩერა ორგანიზაციის მმართველობასთან, ფინანსებთან, მსაჯობასთან და დოპინგთან დაკავშირებული სადავო და საეჭვო შემთხვევების გამო. იმავდროულად, კრივის საერთაშორისო ასოციაციის ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე მოკრეფეთა ტურნირის ჩატარების უფლება ჩამოერთვა.

ტოკიოს ოლიმპიურ რინგზე მოკრეფეთა ასპარეზობებს IOC-ის სპეციალური კომისია ხელმძღვანელობდა. ასე იქნება პარიზის 2024 წლის ოლიმპიურ თამაშებზეც.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლიტიკა“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნიკა მოდებაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ნიკა მოდებაძე (პ/ნ 45001025292), ყვარელი, ს. ჭიკაბანი, მე-11 ქ. №38

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ყვარელი, ს. ჭიკაბანი (საკადასტრო კოდი: 57.03.53.000.314)
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდასახული სანივით ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 38818.53 ლარი.
3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2024 წლის 12 აპრილი, 14:00 საათი.
4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2024 წლის 26 აპრილი, 14:15 საათი.
5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HQP97759924; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 977599
6. მოვალე: ნიკა მოდებაძე (პ/ნ 45001025292), ყვარელი, ს. ჭიკაბანი, მე-11 ქ. №38.
7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლიტიკა“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეიღებოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლიტიკა“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
- 9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HQP97759924; ლოტის ნომერი: 977599). ნებისმიერ პირს, ვისაც გაინია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 26 აპრილის 12:00 საათამდე.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლიტიკა“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მარიამ ფარცვაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: მარიამ ფარცვაძე (პ/ნ 19001105300), თბილისი, ვარკეთილი 3, 3ა მ/რ, კორპუსი 322

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, ვარკეთილი 3, 3ა მ/რ, კორპუსი 322 (საკადასტრო კოდი: 01.19.39.013.008.01.519)
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდასახული სანივით ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 24093.88 ლარი.
3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2024 წლის 15 აპრილი, 14:00 საათი.
4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2024 წლის 29 აპრილი, 14:00 საათი.
5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HQP97792424; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 977924
6. მოვალე: მარიამ ფარცვაძე (პ/ნ 19001105300), თბილისი, ვარკეთილი 3, 3ა მ/რ, კორპ. 337, ბინა 11;

მოვარისა ივარდავა (პ/ნ 19001088859), ზუგდიდი, ს. რუხი; ნათია წურჭუბია (პ/ნ 19001007353), ზუგდიდი, ს. რუხი.
7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლიტიკა“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეიღებოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლიტიკა“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
- 9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HQP97792424; ლოტის ნომერი: 977924). ნებისმიერ პირს, ვისაც გაინია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 29 აპრილის 12:00 საათამდე.



14 აპრილს წმიდა მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ იღვწის-წაულა იოანე სინელის (კიბისალმწერელის) კვირიაკე. საეკლესიო, რომ იოანე სინელი თავის თხზულებებში „კიბე“ მოგვითხრობს სამონაზვნო ცხოვრების შესახებ, ჭეშმარიტი უბინო

დიდგარსების მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ

ცხოვრების კეთილისმყოფელ მხარეებზე, რომელიც ქრისტიანული ცხოვრების სრულყოფილების იდეალს წარმოადგენს... აი, რას ვეითხულობთ „კიბეში“: „მდაბალი მონაზონი არ გამოიძიებს დაფარულ და გამოუთქმელ საქმეებს, ხოლო ამპარტავანი ღმრთის საიდუმლო განგებულებებს იკვლევს. უფალმა ჩვენი დამდაბლებლებისთვის ისე განაგო, რომ კაცის წყლულებს სხვა უკეთ ხედავს, ვიდრე თვითონ. ამიტომაც საჭიროა ჩვენთვის, რომ საკუთარ თავს კი არ გამოძივრავდეთ, არამედ მწყემსის მიერ განვისწავლოთ, და როცა წყლულებისგან განვიკურნებით, ღმერთსა და მას ვმადლობდეთ“.

დიდგარსების მე-4 კვირიაკის, 14 აპრილს დამთავრდა აღინიშნა მარიამ მეგვიტელის სინელის დღეც, რომელიც უდიდესი ცოდვილიდან უდიდეს წმინდანად იქცა ღვთის შტეწვით. მარიამ მეგვიტელმა იორდანის მკაცრ უდაბნოში მარტოობაში თითქმის ნახევარი საუკუნე გაატარა.

გიული ლიპარტი

კრიზისი მოკლად, გამოძალავდეს!

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2001 წელს დაბადებული ტ. გ. დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით ჩადენილი გამოძალავების ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული სხვადასხვა დროს, საზღვარგარეთ მცხოვრები კრიმინალური ავტორიტეტის სახელის გამოყენებით მოქალაქეებს უკავშირდებოდა და მათ სიყვარულის მისპობის, ასევე, ქონების განადგურების მუქარით, დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით, 100 000 დოლარს სთხოვდა.

პოლიციამ, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულში ბრალდებული ტ. გ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავა. სამართალდამცველებმა ბრალდებულს პირადი ჩხრევის შედეგად, ნივთმტკიცებამ ამოიღეს მობილური ტელეფონი და სიმ ბარათები, რომელთა საშუალებითაც ბრალდებული მოქალაქეებს თანხის გამოძალავების მიზნით უკავშირდებოდა. დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით ჩადენილი გამოძალავების ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

„ბახა“, „შრამიანი“, „შოკი“ და კიდევ 4 ქურდი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში, ქარელსა და გორში, ქურდულ სამყაროსთან კავშირში მყოფი 7 პირი დააკავეს. დაკავებულები არიან: 2000 წელს დაბადებული გ. გ.; 1972 წელს დაბადებული გ. გ. (მეტსახელად „ბახა“) და წარსულში ნასამართლეთა პირები: 1981 წელს დაბადებული დ. დ. (მეტსახელად „შრამიანი“); 1981 წელს დაბადებული მ. მ.; 1995 წელს დაბადებული გ. გ.; 1978 წელს დაბადებული ზ. ზ. და 1995 წელს დაბადებული დ. დ. (მეტსახელად „შოკი“). სოლო, 5 პირს: წარსულში ნასამართლეთა 1986 წელს დაბადებულ გ. რ. (მეტსახელად „ქენაფა“) და საზღვარგარეთ მყოფი 4 „კაპონიერი ქურდი“: 1961 წელს დაბადებული არიკი მისხაელს (მეტსახელად „იზიკი“); 1981 წელს დაბადებული ილია გაგლოვეს (მეტსახელად „ილო კალინინგრადსკი“); 1974 წელს დაბადებულ პაატა ვაშაკიძეს (მეტსახელად „ეშხა“) და 1982 წელს დაბადებულ

მალხაზ დარჩივს (მეტსახელად „მახო“) ბრალი დაუსწრებლად წარედგინათ. დანაშაულები 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

8 წლის ბავშვი მეთერთმეტეკლასელმა გააუპატიურა!

სამშენობლო ერთ-ერთ სოფელში 8 წლის ბავშვი გააუპატიურეს. მძიმე ბრალდებით დაკავებული ასევე არასრულწლოვანი, მე-11 კლასელი ბიჭი. დაზარალებულს ექსპერტიზა უკვე ჩატარდა. მშობლებს თანხლებით გამოიკითხა და ბრალი წარედგინა დაკავებულსაც.

„მომხრობე და ჩამოიქიდა, თავი მოიკლაო“!

„საქართველოს ბანკის“ ზუგდიდის ფილიალის დაყარალების საქმეზე მსჯავრდებული მალხაზ დარჩივს წერილს აქვეყნებს, სადაც ნათქვამია, რომ მას საპატიმრო საკანში უმძიმეს პირობებში უწევს ყოფნა. „14 მარტს პენიტენციურ დაწესებულებაში ერთ-ერთმა პატიმარმა მიიყენა თვითღმირანობა, მიზნით ყოფილა ის, რომ სამკურნალო საფარველს გამოეყენებინა თხოვდა, უარი უთხრეს და პროტესტის ნიშნად ყელი გამოიჭრა, რამდენიმე პატიმარმა სოლიდარობის ნიშნად შიმშილობა დაიწყეს. აღმინისტრაციამ დაიწყო რეპრესიები და მუქარით გვთხოვდნენ შიმშილობის შეწყვეტას. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, მე პირადად მიიხრეს, რომ თხოვნი და ტარაკნებით სავეს საკანში ან კარცერში გადავიყვანდნენ. მაინც რომ არ დავემორჩილო, 10 კაცამდე შემომიგარდა კამერაში. ამ დროს ლოგინზე ვინეცი, მეცნენ, გადმომხადეს გინებით და შემდგენ ფეხებით. დამადეს ხელმოკილები და არაადამიანური ძალის გამოყენებით წამართიეს დეესკალაციის კამერაში. ახლაც ვერ ვხვდები, რატომ მოგვიწყვეს პროფკაცია და რატომ შეგვყარეს ასე ტყუილად კარცერში. ჩემ ვერდით კამერაში მყოფი მეგობარი ამბობს – აკრძალულ ნივთს ჩაგვინდებოდა და სასჯელს გავიხანგრძლივებოდა თუ არ ვაჩერდებით, ასე დავგეგმუქინებო. ეს ინფორმაცია სახალხო დამცველს მივანოღე და მოეთხოვე კამერების ჩანახარების დაარქივება, თუმცა სამეთვალყურეო სამსახურისგან სახალხო დამცველს უპასუხეს, რომ 14 მარტის 23 საათიდან 12 საათამდე ტყუილად ხარვეზების გამო ეს შეუძლებელი იყო. ამ ამბის გამო მოსვენება დავკარგე, ვიცი როგორ მგრძობის სისტემა. არ ვიცი როდის შემომიგარდებიან საკანში, მომხრობენ და ჩამოიქიდავენ, თავი მოიკლაო. კამერაში მარტო ვარ, მოწმეც არ იარსებებს“ – ამბობს მალხაზ დარჩივს, რომელსაც მისი ადვოკატი ასაჯაროებს.



წყალტუბოში მელიტონ ბალანჩივაძის ბიუსტი დაიდგა

ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებლის მელიტონ ბალანჩივაძის ბიუსტი მუნიციპალიტეტის მერმა, გენადი ბალანჩივაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ, თეიმურაზ ჭეიშვილმა გახსნეს.

„განსაკუთრებით ამაყი ვარ, რომ დღეს პატივი მივაგებთ ისეთი გემოვნური საზოგადო მოღვაწის სიხარულს, როგორც მელიტონ ბალანჩივაძე. ვფიქრობ, თითოეული ქართველისათვის მნიშვნელოვანია მისი სახელის უკვდავყოფა, უდიდესი მემკვიდრეობა იყო იმ კუთხის შვილი, სადაც დაიბადა მელიტონ ბალანჩივაძე“, - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა.

მელიტონ ბალანჩივაძის ბიუსტის გახსნის ცერემონიაზე სოფელ ბანოჯის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა თემატური პოსტერები წარმოადგინეს. წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მელიტონ ბალანჩივაძისა და მისი შვილების: კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძის, ასევე ამერიკული ბალეტის ფუძემდებლის, ჯორჯ ბალანჩინის შემოქმედებისა და ცხოვრების შესახებ კონფერენცია ჩატარდა. წყალტუბოს ცენტრალურ პარკში გამოჩენილი აღამიანების ბიუსტების დადგმის იდეა მუნიციპალიტეტის მერს გენადი ბალანჩივაძეს ეკუთვნის.

კოლხური ხოხობი რუსთავის ჭალის ტყეებში



რუსთავში, ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით და „განვითარება და გარემოს“ ჩართულობით, ეკოლოგიურ პროექტი ხორციელდება. რუსთავის ბუნებრივი ჭალის ტყის ტერიტორიაზე და მე-19 მიკრორაიონში, 60 ერთეული კოლხური ხოხობი გაუშვეს. პროექტს ფონდი „ქართუ“ მესამე წელია რაც ახორციელებს.

რუსთავის ჭალის ტყის ტერიტორიაზეც კოლხური ხოხობის გაშვება უკვე მესამედ მოხდა. ფონდი „ქართუს“ საჩუქარი, რუსთავის ჭალის ტყეების ფაუნის აღსადგენი უნიკალური საშუალებაა, რადგან ფრინველის ამ სახეობისთვის, ეს ტერიტორია ენდემური ზონაა.

სარეზერვუარო ამერიკელს

იპსონი ამშ-ს დამოუკიდებლობის 250 წლისთავისთვის ალუბლის 250 ხეს აჩუქებს, - ამის შესახებ ვაშინგტონში ვიზიტისას იპსონის პრემიერ-მინისტრმა, ფუმიო კიშიდამ კონგრესში გამოხსენისას განაცხადა. „ჩვენი მეგობრობის უესტად, იპსონი გადმოგცემთ ალუბლის 250 ხეს, რომელიც დაირგება თქვენი დამოუკიდებლობის 250 წლისთავისთვის“, - განაცხადა კიშიდამ, რასაც კონგრესში ოვაციები მოჰყვა.

ამ დამოუკიდებლობის დღეს, ტრადიციულად, 4 ივლისს აღნიშნავს. იპსონის საფრანგოში აცხადებენ, რომ საჩუქრის გადაცემის საკითხზე მუშაობენ. იპსონიამ ვაშინგტონს მეგობრობის ნიშნად ალუბლის ხეები პირველად 1912 წელს გადასცა. ამის შემდეგ ალუბლის ყვავილობა ამშ-ის დედაქალაქში ერთ-ერთ პოპულარულ ყოველწლიურ სანახაობად იქცა.



„გალობის მერსლები“ ბავრატში იგალობეს

ქუთაისში პროექტ „გალობის მერსლები“ ღონისძიება გაიმართა. ბავრატის ტაძარში დასავლეთ საქართველოს სალოტბარო სკოლების მოსწავლეები და ლოტბარები შეიკრიბნენ და სხვადასხვა საგალობელი შეასრულეს. ფოლკლორის ცენტრის ორგანიზებულ ღონისძიებაში 17 სალოტბარო სკოლა მონაწილეობდა.



პროექტი ფოლკლორის ცენტრის სალოტბარო სკოლებში, ქართული ტრადიციული გალობის მიმართულების განვითარებასა და მოსწავლეებში გალობის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. პროექტის მხარდაჭერია კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

ჩვენ ვხატავთ - თოჯინები იცინიან




საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა საქართველოს თანამედროვე მხატვართა ჯგუფური გამოფენა-მარათონი - „ჩვენ ვხატავთ - თოჯინები იცინიან“.

ღონისძიება დიპლომატისა და მხატვრის გელა ღუმბაძის ინიციატივითა და ორგანიზებით გაიმართა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 30-ამდე თანამედროვე მხატვრის ნამუშევარი. ასევე, დამოუკიდებელს შეეძლო ენახა თოჯინების ოსტატთა ნახელავი. საინტერესოა, რომ გამოფენის სტუმრებს ჰქონდათ შემოქმედებითი პროცესის ნახვის შესაძლებლობა.

გარდაიცვალა ლეონიდა რუბინი

იშალიძის მოდის დიზაინერი, ამავე სახელწოდების ბრენდის დამფუძნებელი, ნომინატო პაპალი, 83 წლის ასაკში გარდაიცვალა. მოდის ცნობილი დიზაინერი ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად, ფლორენციაში, საკუთარ სახლში გარდაიცვალა. კვალიმ ბრენდი საკუთარი სახელით 1970 წელს დააარსა. 30 წლის ასაკში პარიზში შედგა დიზაინერის დებიუტი, ორი წლის შემდეგ კი პირველი ჩვენება გამართა ფლორენციის Palazzo Pitti-ში, სადაც წარმოადგინა ავანგარდული ქალთა კოლექცია.



სიბრძნე სიცილისა...

ანაჰონ იცის, თუ რა უარესი: მა-მაკაცის „მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრია“, თუ ქალის „თავდაპირველად არ ვიცი, რა მინდა!“

* * *

- მოშუს ვენაცვალე, რად ირთავ ასე ახალგაზრდა ქალს? შენ მოკვდები, ის კი დარჩება!..

- დაკვებას ისევ დარჩეს ჯობია!..

* * *

- ჰმამეში, მართალია, რომ ადამიანები მაიმუნებისგან წარმოიშვნენ?

- მართალია რომერტ-ჯან!

- ვა!.. შენაც?

- ხო.

- მერე მაგათი ძველი ფოტოკარტოჩკები დაგრჩა?

- არა... მაგრამ მაგას მნიშვნელობა არა აქვს, მე თითქმის არ შევიცვალე, შენ ხომ იცი ჩვენი ჯიშის ამბავი...

* * *

გურული წერს ცოლს: „სოსოიასთან ვარ, ჩემს ძმაცაცთან! სამად-სამ ჭიქას დაგლევე და ერთ საათში სახლში ვიქნები, მარა, თუ არ მევედი, აი მართალი ისევლე თავიდან წვიკოთხე!..“

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS REPUBLIKA

ა.ნაირთლის №116 (დივანია პარკი)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
მამუკა მამუკაძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

შემომხმადებელი
ჯგუფი:

ალეკო ასლანიშვილი
გია ალატონიშვილი
ოთარ ტურაბაიძე

სტილისტ-
კორექტორები:

ნაირა კიკელია,
მანია იორამაშვილი,
ოპარატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17

rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 - ახალი

„საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს
რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იკავდება სტამბა
„კოლორი“

კოლორი
ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323



ავტორთა
საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ
შეუძვეთავი მასალაზე
დაიკავდება
ავტორთა ხარჯით.

გაზეთის
მომდევნო
ნომერი
გამოვა
ოთხშაბათს,
17 აპრილს

საქართველოს რესპუბლიკის
საგარეო ურთიერთობების
სამსახური
საგარეო ურთიერთობების
სამსახური
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

აპრილი 15 აპრილისთვის			
აღმოსავლეთი საქართველო:			
ბაზი -	ლაპე	+6,	ფლვ +21
მიონი რაიონი -	ლაპე	+2,	ფლვ +16
დასავლეთი საქართველო:			
ბაზი -	ლაპე	+8,	ფლვ +22
მიონი რაიონი -	ლაპე	+6,	ფლვ +18
თბილისი:	ლაპე	+10,	ფლვ +21

დაგვიკავშირდით, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge